პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

სამშაბათი, 27 მაისი, 1952 წ. № 124 (9284). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისათვის — „პრავდის“ 26-V მოწინავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი).
საბჭოთა მთავრობის ნოტები ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ (მე-2 და მე-3 გვერდი).
უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის ნოტაზე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ (მე-3 გვერდი).
პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრებისათვის (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისათვის

გუშინ გამოქვეყნდა საბჭოთა მთავრობის ნოტები ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ. ამ ნოტებში გამოხატულია საბჭოთა მთავრობის პოზიცია გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხზე, აგრეთვე გერმანიის გაერთიანებისა და სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის საკითხზე.

გერმანიის პრობლემა ყველა ხალხის ყურადღების ცენტრშია, რადგან გერმანიის მილიტარიზმის აღდგენის საფრთხე, გერმანიის მილიტარიზმისა, რომელმაც ორჯერ გააჩაღა მსოფლიო ომი, აღმოფხვრილი არ არის, ჯერ კიდევ შეუხსნელებელი რჩება პოტსდამის კონფერენციის შესაბამისი დადგენილებანი. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებამ უნდა უზრუნველყოს გერმანიის მილიტარიზმისა და გერმანიის აგრესიის აღორძინების შესაძლებლობის აღმოფხვრა, უნდა დააკმაყოფილოს გერმანელი ხალხის კანონიერი ეროვნული ინტერესები, იგი შესაძლებელს გახდის საბოლოოდ გადაიკვეთოს მეორე მსოფლიო ომის შედეგად წამოჭრილი საკითხები.

სწორედ ამჟამად წყდება საკითხი — აღდგენილი იქნება გერმანია, როგორც ერთიანი, დამოუკიდებელი, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო, რომელიც შეავ ევროპის მშვიდობისმოყვარე ხალხების ოჯახში, თუ ძალაში დარჩება გერმანიის გათიშვა და ამასთან დაკავშირებული ომის საფრთხე ევროპაში. ამერიკული გაზეთების რედაქტორთა ჯგუფის კითხვაზე: „მიგაჩნიათ თუ არა ახლანდელი მომენტი გერმანიის გაერთიანებისათვის შესაფერისად?“ — ამხანაგმა სტალინმა უპასუხა: „დიახ, მიმაჩნია“.

უკვე დიდი ხანია მომწიფდა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების აუცილებლობა. ჯერ კიდევ პოტსდამის შეთანხმებამ, რომელიც ხელმოწერილ იქნა ომის დამთავრებისთანავე, ანუ იგი შვიდი წლის წინათ, ოთხ სახელმწიფოს — სსრ კავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს—დაავალა ვალდებულება შესდგომოდნენ გერმანიასთან სამშვიდობო მოწესრიგებას.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მოსკოვისა და ლონდონის სესიებზე 1947 წელს და პარიზის სესიაზე 1949 წელს საბჭოთა მთავრობას შეჰქონდა კონკრეტული წინადადებანი გერმანიასთან სამშვიდობო მოწესრიგების შესახებ, რომელიც შეესაბამება ხალხთა მშვიდობიანი განვითარების ინტერესებს.

გერმანიის მიმართ სრულიად სხვა, საწინააღმდეგო პოლიტიკას ახორციელებენ ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, რომლებიც უხეშად არღვევენ პოტსდამის დადგენილებებს. მათ არათუ უარი თქვეს გერმანიასთან სამშვიდობო მოწესრიგების პრაქტიკულ ღონისძიებებზე, არამედ განახორციელეს მთელი რიგი სპარატული ღონისძიებანი, რომლებმაც გაღრმავა გერმანიის გათიშვა.

საბჭოთა კავშირი ახორციელებდა და ახორციელებს ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფის, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების მტკიცე და თანმიმდევრულ პოლიტიკას. საზავო ხელშეკრულების დადების დაჩქარების შესახებ ოთხი სახელმწიფოსადმი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიმართვის პასუხად საბჭოთა მთავრობამ ამა წლის თებერვალში განაცხადა, რომ იგი „თავის მხრივ ყოველივე შესაძლებელს გააკეთებს, რათა დაჩქაროს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება და გერმანიის სახელმწიფოს ერთიანობის აღდგენა“.

1952 წლის 10 მარტს საბჭოთა მთავრობამ წინადადება მისცა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს დაუყოვნებლივ განეხილათ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისა და სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის საკითხი. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადების გაადვილებისა და დაჩქარებისათვის საბჭოთა მთავრობამ წარადგინა ამ ხელშეკრულების თავისი პროექტი და ამასთან ერთად განაცხადა, რომ მზად არის განიხილოს სხვა შესაძლო წინადადებანიც ამ საკითხზე.

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საუძვლების საბჭოთა პროექტს უდიდესი მოწონებით შეხვდა ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ „გერმანელ პატრიოტთა ბრძოლამ საზავო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადებისა და გერმანიის სახელმწიფოს ერთიანობის აღდგენისათვის ისეთი ენერგიული და ქმედითი მხარდაჭერა ჰპოვა, რომელმაც გადააჭარბა ყველაზე გაბედულ მოლოდინს. საბჭოთა ხალხმა ამ ისტორიულ უამს გვიჩვენა, რომ იგი გერმანელი ხალხის კარგი და ერთგული მეგობარია“.

ფაქტები მოწმობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები კვლავ ყოველნაირად აჭიანურებენ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას და გერმანიის გაერთიანებისა და სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის საკითხის გადაჭრას. საზავო ხელშეკრულების დაუდებლად და გერმანიის გაუერთიანებლად კი არ შეიძლება აღდგენილ იქნას დამოუკიდებელი და სრულუფლებიანი გერმანიის სახელმწიფო, რომელიც გამოხატავს მთელი გერმანელი ხალხის ნამდვილ ნებას.

საბჭოთა კავშირის 24 მაისის ნოტაში აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ კვლავ წამოაყენა მთელი რიგი საკითხები ნოტებით მიმოწერის განგრძობისათვის, რაც უიმისოდაც რამდენიმე თვეს გაჭიანურდა, ნაცვლად იმისა, რომ ოთხი სახელმწიფო შეუდგეს უშუალო მოლაპარაკებას და დაიწყოს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისა და ამასთან დაკავშირებული ყველა საკითხის ერთობლივი განხილვა. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა არ ცდილობს, რომ დაიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან და ბოლო მოეღოს გერმანიის გათიშვას. უფრო მეტიც: აჭიანურებს რა ნოტებით მიმოწერას, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებთან ერთად სეპარატულ საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებს დასავლეთ გერმანიის ბონის მთავრობასთან ევრეთწოდებული „საერთო“ ხელშეკრულების დადების შესახებ.

„საბჭოთა მთავრობას — ნათქვამია 24 მაისის ნოტაში, — საჭიროდ მიაჩნია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმას, რომ ნოტებით მიმოწერის ერთდროულად, რაც კვლავ გრძელდება, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებთან ერთად სეპარატულ მოლაპარაკებას აწარმოებს დასავლეთ გერმანიის ბონის მთავრობასთან ევრეთწოდებული „საერთო“ ხელშეკრულების დადების შესახებ. სინამდვილეში ეს არავითარი „საერთო“ ხელშეკრულება არ არის, არამედ სეპარატული ხელშეკრულებაა, რომელსაც ხალხის მოსატყუებლად ყალბად უწოდეს „საერთო“. ამრიგად, უხეშად ირღვევა პოტსდამის შეთანხმება, რომლითაც ოთხ სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და სსრ კავშირს დაკისრებული აქვს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადება“.

საბჭოთა მთავრობის 24 მაისის ნოტაში მხილებულია ევრეთწოდებული სეპარატული „საერთო“ ხელშეკრულების შინაარსი, ხელშეკრულებისა, რომლის დადებით ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები ვარაუდობენ შეინარჩუნონ ფაქტიური საამხედრო ოკუპაციის რეჟიმი, დაეფინონ დასავლეთ გერმანია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის, აგრეთვე დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მიმართ დამოკიდებულ და დამორჩილებულ მდგომარეობაში.

„საერთო“ ხელშეკრულება ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის აშკარა სამხედრო კავშირია დასავლეთ გერმანიის მთავრობასთან, იმის მისწრაფებაა, რომ დასავლეთ გერმანია შეიყვანონ თვითმარქვია „ევროპის თანასაზოგადოებაში“, რომელიც უნდა გახდეს ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის შემადგენელი ნაწილი. ამით ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები ცდილობენ არა მარტო საბოლოოდ მოსწყვიტონ, არამედ დაუპირისპირონ გერმანიის ერთი ნაწილი გერმანიის მეორე ნაწილს. ახალი სეპარატულ შეთანხმებათა ნაჩქარევად დადებით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას იმედი აქვს უფრო მაგრად, ვიდრე აქამდე, დაუკავშიროს დასავლეთი გერმანია და დასავლეთი გერმანიის არმია, რომლის აღდგენა ახლა მიმდინარეობს, ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკს.

შეთანხმება დასავლეთ გერმანიის რევანშისტულ მმართველ წრეებსა, რომლებიც წარმოადგენენ ყველაზე აგრესიულ წრეებს ევროპაში, და ხალხმწიფოთა ჩრდილოეთ ატლანტიკის ჯაჭვუფებას შორის ემყარება იმას, რომ მხარი დაუჭირონ ბონის ადენაუერის მთავრობის რევანშისტულ მისწრაფებას, რომელიც ამზადებს ახალ ომს ევროპაში. მეორე მხრივ, დასავლეთ გერმანიის არმიის, რომელსაც ფაშისტი ჰიტლერელი გენერლები მეთაურობენ, შეუყვანა ევრეთწოდებულ „ევროპის არმიაში“, და მაშასადამე, ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის არმიაში, კიდევ უფრო ცხადყოფს მთელი ჩრდილოეთ ატლანტიკის ჯაჭვუფების აგრესიულ ხასიათს.

ემყარება რა თავის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკას და ითვალისწინებს რა საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს, საბჭოთა მთავრობა 24 მაისის ნოტით კვლავ წინადადებას აძლევს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, აგრეთვე დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს შეუდგნენ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხის, აგრეთვე გერმანიის გაერთიანებისა და სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის საკითხის ერთობლივ განხილვას.

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისა და გერმანიის გაერთიანების საკითხის გადაჭრის შემდგომმა გაჭიანურებამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს კანონიერი უკმაყოფილება გერმანელი ხალხისა, რომელსაც დასავლეთი სახელმწიფოების პოლიტიკა იძულებულს ხდის ეძებოს საზავო ხელშეკრულებისა და გერმანიის ეროვნული გაერთიანების თავისი გზები.

საბჭოთა ნოტამ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ გამოხმაურება ჰპოვა ყველა ქვეყანაში. დემოკრატიულ პრესას ეს ნოტა მიაჩნია კიდევ ერთ მნიშვნელოვან წვლილად გერმანიის საკითხის მოწესრიგების საქმეში, საბჭოთა კავშირის თანმიმდევრული მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის დადასტურებად.

გერმანიის გაერთიანების სამართლიანი საქმისათვის ბრძოლის იდეებით აღფრთოვანებული გერმანელი ხალხი ისტორიულ მობრუნების პუნქტზე იმყოფება და აძლიერებს წინააღმდეგობას დამლუპველი ანტიეროვნული პოლიტიკისადმი, რასაც ახორციელებს ბონის ადენაუერის მთავრობა, რომელიც ცდილობს გადააქციოს გერმანელები საზარბაზნე ხორცად ამერიკელი იმპერიალისტებისათვის.

გერმანელი ხალხი, იბრძვის რა თავისი ხანიცოცხლო ეროვნული ინტერესებისათვის, ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის სახელმწიფოსათვის, იცავს ევროპაში, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმეს. გერმანელ ხალხს თანაუგრძნობს და მხარს უჭერს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი.

„პრავდის“ 26-V მოწინავე

ქრონიკა

იმის გამო, რომ საქართველოს სსრ რესპუბლიკაში დამთავრდა 1951 წლის მოსავლის თამბაქოს დამზადება, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს ნება დაერთოთ თავისუფლად გაყიდონ 1951 წლის საკუთარი მოსავლის თამბაქო. (საქდესი).

საბჭოთა კავშირში

★ ★ ★ ★

პირველი გემი ციმლიანსკის ნავსადგურში

ნოვო-სოლენოვსკი (როსტოვის ოლქი), 23 მაისი. (საკდესი). ციმლიანსკის ნავსადგურის მოედანზე დაძაბული მუშაობაა. მშენებლები ეწევიან ნავსადგურის შენობათა მოპირკეთებას, ამზადებენ ნაკვეთებს ხეებისა და ყვავილების დასარგავად.

დღეს ნავსადგურში შემოვიდა პირველი გემი. გემმა გაიარა რკინა-ბეტონისა და მიწის კაშხალების გაყოლებით, შემდეგ ჩაუარა ავანპორტის ჯებირებს და მისადგომთან მივიდა.

გემი „ლენინური კომკავშირი“ ციმლიანსკის ზღვაში მოიყვანა ახალგაზრდა კომკავშირელმა კაპიტანმა დიმიტრი ავდიუნინმა.

ახალი სასწავლებლები

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტრომ გადაწყვიტა დააარსოს კრასნოიარსკში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ახალი უმაღლესი სასწავლებლისათვის აშენდება სასწავლო შენობები, სტუდენტთა ორი საერთო საცხოვრებელი — თვითეული 400 კაცისათვის და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის საცხოვრებელი სახლი. ინსტიტუტთან შეიქმნება სასწავლო საცდელი მეურნეობა, რომლისთვისაც გამოყოფენ ტრაქტორებს, კომბაინებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და დაზგებს. (საკდესი).

ბაქო, 23 მაისი. (საკდესი). აქ გამოცხადებულია სტუდენტთა მიღება ახალ სასწავლებელში—აზერბაიჯანის რუსული ენის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. ინსტიტუტი მოამზადებს რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს საშუალო სკოლებისათვის.

სემიპალატინსკი, 23 მაისი. (საკდესი). აქ გაიხსნა ვეტერინარია-ზოოტექნიკის ინსტიტუტი, რომელიც უკვე შეუდგა სტუდენტთა მიღებას. უმაღლესი სასწავლებელი მოამზადებს კადრებს ყაზახეთის სოფლის მეურნეობისათვის.

ვ. ვ. მაიაკოვსკის ნეშტის გადასვენება

22 მაისს ნოვოდევიჩის სასაფლაოზე გადაასვენეს ურნა დიდი საბჭოთა პოეტის ვ. ვ. მაიაკოვსკის ნეშტით. 1930 წლის აპრილიდან დღემდე ურნა კრემატორიუმის კოლუმბარიუმში იყო.

სასაფლაოზე გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი. მიტინგს დაესწრნენ მწერალთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ხელოვნების მოღვაწეები, პოეტის დედა ალექსანდრა ალექსის ასული და პოეტის და ლიუდმილა ვლადიმერის ასული მაიაკოვსკაია.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გენერალური მდივნის მოადგილემ ნ. ს. ტიხონოვმა. (საკდესი).

დონის წყალი ვოლგისაკენ მიდის

სტალინგრადი, 25 მაისი. (საკდესი). სიხარულის დღეები დაუდგათ ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლებს. გუშინ შუადღისას მათ დაშალეს წყალგასაყართან არსებული ხელოვნური ზღუდარი და წყალი ვარვაროვკის წყალსაცავიდან გაუშვეს გადამლობი კარისაკენ. დროგამოშვებით წყლის დონე საათში 20 სანტიმეტრით იწევდა მაღლა. დღეს თხუთმეტი საათისათვის წყალმა გადამლობ კართან ორნახევარი მეტრითა და უფრო მეტით აიწია. ამ დროს მეცხრე რაბის მშენებლებმა განაცხადეს, რომ მზად არიან მიიღონ წყალი. გაიღო ლითონის უზარმაზარი კარი, და დონის წყალი გაიჭრა მეცხრე რაბისაკენ. ამრიგად, ამ უკანასკნელ დღე-ღამის განმავლობაში დონის წყალმა აავსო არხი თითქმის ჩვიდმეტ კილომეტრ სიგრძეზე.

მეცხრე რაბმა პირველმა მიიღო ვოლგის ფერდობზე დონის წყალი. მას მოჰყვება მერვე, რაბი, მისმა კოლექტივმაც უპატაჟა, რომ მზად არის მიიღოს და გაუშვას დონის წყალი.

მებეტონეები, მეარმატურეები, მექანიზატორები, მემონტაჟეები — ჩაპურნიკის საშენებლო რაიონის მთელი კოლექტივი, რომლის ტერიტორიაზეც განლაგებულია ეგრეთწოდებული „ვოლგის კიბე“, ახლა მთელ ღონეს ახმარენ იმას, რომ დროზე მიიღონ დონის წყალი, რადგან დონისა და ვოლგის შეერთება ახლა მათზეა დამოკიდებული. მუშაობა დღედაღამ მიმდინარეობს.

დონის წყალი ვოლგისაკენ მიდის. დაიძრა ვოლგის წყალიც. უკვე ივსება ვოლგის წყლით პირველი რაბის ქვედა მისასვლელი. მხოლოდ რამდენიმე დღე დარჩა მანამდე, სანამ შეერთდებოდეს რუსეთის ორი დიდი მდინარე და არხზე მიმოსვლას დაიწყებდნენ გემები.

კუიბიშევის ჰიდროკვანძის მშენებლობაზე

კუიბიშევი, 23 მაისი. (საკდესი). ვოლგის დონე კუიბიშევის ჰიდროკვანძის მშენებლობის რაიონში თითქმის 8 მეტრით ამაღლდა ზამთრის დროსთან შედარებით. მდინარეს წყლის უდიდესი მასა მოაქვს, მაგრამ ჰიდროელექტროსადგურის ქვაბულის ზღუდარი უძლებს ამ ძლიერ წნევას. ქვიშის, ქვისა და ფოლადის ფართო ზღუდე მარჯვენა ნაპირთან იწყება და შორს იჭრება ვოლგის კალაპოტში. ეს ზღუდარი ეღობება მდინარეს. წყალი მკვეთრად უხვევს და უვლის ქვაბულის სამდინარო ნაწილს. ახლა მშენებლები კვლავ ამაგრებენ ზღუდარს.

ნაპირზე ხმაურობენ ელექტროშემდუღებელი აპარატები: მემონტაჟეები მუშაობენ ლითონის უზარმაზარი მილების ჩაწყობაზე. მალე ჰიდრომექანიზატორები დაიწყებენ ჰიდროელექტროსადგურის ქვაბულის წყალქვეშა ნაწილის დამუშავებას. მილსადენებით წამოვა მდინარის ფსკერიდან მიწისმწოვი მანქანებით ამოღებული გათხელებული გრუნტი. ჰიდრომექანიზაციის ხერხით ჰიდროელექტროსადგურის ქვაბულიდან ამოღებულ იქნება 4,5 მილიონი კუბური მეტრი მიწა.

ვოლგის მარცხენა ნაპირთან ჰიდრომექანიზატორები იწყებენ მუშაობას წყალსაშვებ კაშხალთან ქვემო რაბის ქვაბულებში. აქ ამჟამად შვიდი მანქანაა. მათმა ეკიპაჟებმა დაიწყეს შეჯიბრება დავალებათა გადაჭარბებით შესასრულებლად. № 320 მიწისმწოვმა მანქანამ გამომუშავება დღეღამეში 5.500 კუბმეტრამდე აიყვანა, რაც ნორმას ერთნახევარჯერ სჭარბობს. № 319 მიწისმწოვმა მანქანამ გუშინ 7.400 კუბური მეტრი გრუნტი ამოიღო და დავალება ერთბორად შეასრულა.

ვოლგის ორივე ნაპირზე მიმდინარეობს ბეტონის ქარხნების მშენებლობა.

ლ. ნ. ტოლსტოის მუზეუმ-კარმიდამოში

იასნაია პოლიანა, 25 მაისი; (საკდესი). დღეს დიდი რუსი მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის მუზეუმ-კარმიდამო დაათვალიერა დახლოებით 2 ათასმა ექსკურსანტმა. აქ ჩამოვიდნენ დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები, მოსკოვის აუზის მეშახტეები და ტულის მეტალურგები. მათ დაათვალიერეს ტოლსტოის სახლი; ლიტერატურულ მუზეუმში მათთვის წაკითხულ იქნა ლექციები დიდი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

1941 წელს ჰიტლერელმა ბარბაროსებმა გაანადგურეს კარმიდამო, მოსპეს დიდძალი ფასეულობანი, მოიპარეს ბევრი უნიკალური ექსპონატი. ფაშისტების განდევნისთანავე დაიწყო იასნაია პოლიანას აღდგენა. 1942 წლის მაისში იგი კვლავ გაიხსნა მნახველთათვის.

10 წლის მანძილზე მუზეუმ-კარმიდამოს ეწვია 2 მილიონი ექსკურსანტი — ბევრად მეტი, ვიდრე წინა ორი ათეული წლის განმავლობაში. მნახველთათვის წაკითხულ იქნა 40 ათასამდე ლექცია დიდი მწერლის შესახებ.

ყირიმში ყოველწლიურად ათასობით საბჭოთა ადამიანი ისვენებს. **სურათზე:** სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სანატორიუმი „კურპატი“

ფოტო ვ. კუნოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

ევროპის პირველობა კალათბურთში

სსრ კავშირის ქალთა ნაკრები გუნდი ევროპის 1952 წლის ჩემპიონი

25 მაისს მოსკოვში „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა კალათბურთში ქალთა გუნდების საბოლოო შეჯიბრება ევროპის 1952 წლის პირველობაზე. ევროპის 12 ქვეყნის კალათბურთელ ქალთა ნაკრები გუნდები ექვს დღეს იბრძოდნენ შეუპოვრად ჩემპიონის სატიტლო წოდებისათვის.

25 მაისს პირველნი გამოვიდნენ მოედანზე ჩუმიხეთისა და ფინეთის გუნდები. შეჯიბრება მათ შორის დამთავრდა ანგარიშით 41 : 35 რუმინელ კალათბურთელთა სასარგებლოდ.

საფრანგეთის გუნდმა ანგარიშით 46 : 31 მოუგო შვეიცარიელ სპორტსმენ ქალებს.

ბულგარეთის კალათბურთელმა ქალებმა პოლონეთის ნაკრებ გუნდთან შეჯიბრება მოიგეს ანგარიშით 70 : 36.

დღის ოთხი საათია. იწყება უკანასკნელი თამაში. მსაჯები ფ. ვანდერპერენი (ბელგია) და ვ. შერმეტა (პოლონეთი) მოედანზე იწვევენ საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებ გუნდებს. ამ შეხვედრაზე არც ერთი ეს გუნდი არ დამარცხებულა ამ შეჯიბრებაში. მათ შორის შეჯიბრებამ უნდა გადაწყვიტოს, თუ ვინ იქნება ჩემპიონი. ეს შეჯიბრება დამთავრდა საბჭოთა კავშირის გუნდის გამარჯვებით. ანგარიშია 52 : 29.

სსრ კავშირის გუნდმა ზედიზედ მეორეჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის წოდება კალათბურთში ქალთა გუნდებს შორის. ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა. მესამე ადგილზე გამოვიდნენ უნგრელი კალათბურთელები.

ათასობით მაყურებელი გულთბილად მიესალმა გამარჯვებულებს. (საკდესი).

საბჭოთა კალათბურთელი ქალები უძლიერესი არიან მსოფლიოში

მოხალისე კალათბურთელთა საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი ბ-ნი ვ. ჯონსი კალათბურთში ქალთა გუნდების ევროპის მესამე პირველობის შესახებ

25 მაისს, კალათბურთში ქალთა გუნდების ევროპის 1952 წლის პირველობაზე შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მოხალისე კალათბურთელთა საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ბ-ნმა ვ. ჯონსმა საბჭოთა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა:

— შეჯიბრება მოსკოვში საუცხოოდ იყო მოწყობილი. ევროპის ქვეყნების კალათბურთელთა გუნდებს არსად არ უგრძნიათ თავი ისე კარგად, როგორც საბჭოთა კავშირში. აქ ისინი გულთბილად და გულწრფელად მიიღეს.

სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა გუნდმა დამსახურებულად მოიპოვა გამარჯვება და ევროპის 1952 წლის ჩემპიონის წოდება. საბჭოთა კალათბურთელი ქალები უდავოდ ყველაზე ძლიერი არიან მსოფლიოში. მეორე და მესამე სპორიზო ადგილი ღირსეულად დაიკავეს ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის გუნდებმა.

ბ-ნმა ვ. ჯონსმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ძლიერ გაიზარდნენ ბულგარეთისა და პოლონეთის გუნდები.

— მოსკოველი მაყურებლები, — განაცხადა დასასრულ ბ-ნმა ვ. ჯონსმა, — სპორტის დიდი დამფასებლები არიან. მოსკოველები ძლიერ ობიექტურად აფასებენ გუნდების თამაშს. (საკდესი).

ფეხბურთი

უნგრელი და საბჭოთა ფეხბურთელების ამხანაგური შეხვედრა

მოსკოვში, „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე 24 მაისს მოხდა უნგრელ და საბჭოთა ფეხბურთელების ამხანაგური შეხვედრა. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ნაკრებ გუნდს ეთამაშებოდა მოსკოვის ნაკრები გუნდი.

შეჯიბრება დამთავრდა ფრედ ანგარიშით 1:1.

უნგრელი და საბჭოთა ფეხბურთელების ამხანაგურმა შეხვედრამ ფეხბურთის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ათეულათასობით მაყურებელი, რომლებითაც გაჭედილი იყო სტადიონის ტრიბუნები, გულთბილად მიესალმა ორივე გუნდის ფეხბურთელებს. (საკდესი).

„ა“ კლასი

24 მაისს ლენინგრადში ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგრადის „ზენიტისა“ და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდები. შეჯიბრება მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 2 : 1.

მოსკოვში კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა“ მოუგო მინსკის „დინამოს“ ანგარიშით 4 : 2.

ლენინგრადში ადგილობრივი დინამოელებისა და მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ ანგარიშით 1 : 1.

კიევის „დინამოს“ ფეხბურთელებმა თავის მოედანზე დამარცხეს სტალინოს „შახტიორის“ ფეხბურთელები ანგარიშით 6 : 2.

რიგაში „დინამოს“ სტადიონზე დუბავასა და მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1 : 1.

„ბ“ კლასი

25 მაისს ბაქოში თამაშობდნენ სვერდლოვსკის ოფიცერთა სახლისა და გორკის „ტორპედოს“ ფეხბურთელები. თამაში მოიგეს არმიელებმა ანგარიშით 2 : 1.

ამავე დღეს ივანოვოში ალმა-ატის დინამოელებმა დამარცხეს ერევნის „დინამოელები“ ანგარიშით 1 : 0.

საბჭოთა მთავრობის ნოტები

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ

ამა წლის 13 მაისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მოსკოვის საელჩოებისაგან მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობების ანალოგიური ნოტები — პასუხი საბჭოთა მთავრობის ამა წლის 9 აპრილის ნოტებზე გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ.

24 მაისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საელჩოებს გაუგზავნა საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტები.

ქვემოთ ქვეყნდება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის 1952 წლის 13 მაისის ნოტის ტექსტი და საბჭოთა მთავრობის 1952 წლის 24 მაისის საპასუხო ნოტის ტექსტი.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის 1952 წლის 13 მაისის ნოტა

„ამერიკის შეერთებული შტატების საქმეთა დროებითი რწმუნებული გამოთქვამს პატივისცემას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი და, თავისი მთავრობის მითითების თანახმად, პატივი აქვს განაცხადოს შემდეგი:

1. საბჭოთა მთავრობის 9 აპრილის ნოტის პასუხად შეერთებული შტატების მთავრობას სურს შემდეგი შენიშვნები გააკეთოს გერმანიის ერთიანობის, სრულიად გერმანიის თავისუფალი მთავრობის არჩევის და ამ მთავრობასთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ. შეერთებული შტატების მთავრობის პოლიტიკა კვლავაც იმაში მდგომარეობს, რომ ეს მიზნები მიღწეულ იქნას იმ პირობების საფუძველზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ერთიანობას თავისუფლებასთან ერთად და მშვიდობას უშიშროებასთან ერთად.

2. შეერთებული შტატების მთავრობა მზად არის დაიწყოს ამ საკითხებზე მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასთან და სურს გააკეთოს ეს, როგორც კი ნათელი გახდება, რომ საბჭოთა მთავრობასაც განზრახული აქვს თავიდან აიცილოს უნაყოფო დისკუსია, რაც წარსულში იყო. მაგრამ შეერთებული შტატების მთავრობა და შეერთებული სამეფოს და საფრანგეთის მთავრობებმა, აგრეთვე საბჭოთა მთავრობამ ჯერ უნდა მიაღწიონ გარკვეულ შეთანხმებას მოლაპარაკების ფარგლების შესახებ და ძირითადი განსახილველი პრობლემების შესახებ. წარმატების მისაღწევად, და იმისათვის, რომ თავიდან აცილებული იქნას დიდი გაჭიანურება, საჭიროა სათანადო მომზადება. საბჭოთა მთავრობის 9 აპრილის ნოტაში ახალი ბევრი არაფერია ნათქვამი იმ საკითხზე, თუ რა საშუალებებია საჭირო, საბჭოთა მთავრობის აზრით, ყოველი ასეთი მოლაპარაკების უზრუნველსაყოფად.

3. თავის უკანასკნელ ნოტაში საბჭოთა მთავრობა ახლა აყენებს პირობას, რომ გერმანია არ უნდა იქნას შეყვანილი „სახელმწიფოთა ამა თუ იმ დაჯგუფებაში, რომელიც მიმართული იქნება რომელიმე მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს წინააღმდეგ“. გაერთიანებული ერების წევრად გერმანიის შესვლის შემდეგ, რაც გათვალისწინებულია, რა თქმა უნდა, საჭირო აღარ იქნება რაიმე ასეთი პირობა. ყოველ შემთხვევაში შეერთებული შტატების მთავრობა ვერ მიიღებდა რაიმე დებულებას, რაც გერმანიას უკრძალავდეს შევიდეს სხვა სახელმწიფოებთან გაერთიანებაში, რომელსაც საზავო ხელშეკრულების ხელმომწერი ერთ-ერთი მხარე ნებისმიერად ჩათვლიდა „რომელიმე მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ“ გაერთიანებად. იგი ვერ დაუშვებს, რომ გერმანიას წაერთვას თავისუფალი და თანასწორი ერის დამახასიათებელი ძირითადი უფლება — გაერთიანდეს სხვა ერებთან სამშვიდობო მიზნით. შეერთებული შტატების მთავრობა გულისხმობს, რომ ვერც საბჭოთა მთავრობა იქნება იმის წინააღმდეგი, რომ გერმანიამ მონაწილეობა მიიღოს თავდაცვითს შეთანხმებებში.

4. შეერთებული შტატების მთავრობამ თავის 25 მარტის ნოტაში აღნიშნა, რომ იგი სავსებით უჭერს მხარს ღონისძიებებს, რასაც ახორციელებენ დასავლეთ ევროპის თავისუფალი სახელმწიფოები, მათ შორის გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა, იმ მიზნით, რომ შეიქმნას ევროპის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანასაზოგადოება და ამით დაიწყოს ახალი ერა, როცა საერთაშორისო ურთიერთობა დამყარებული იქნება თანამშრომლობაზე და არა მეტოქეობასა და უნდობლობაზე. შეერთებული შტატების მთავრობა მიესალმება ევროპის სახელმწიფოთა ასეთი თანასაზოგადოების შექმნას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს გერმანია. გერმანია გაყოფილია, რადგან გაყოფილია ევროპა. ევროპის ერთიანობის ეს პოლიტიკა საფრთხეს ვერ შეუქმნის საბჭოთა კავშირის ან რომელიმე იმ სხვა ქვეყნის ინტერესებს, რომლის პოლიტიკაც ემსახურება მშვიდობის შენარჩუნებას. ამიტომ შეერთებული შტატების მთავრობა კვლავაც დაუჭერს მხარს თავის ამ პოლიტიკას. შეერთებული შტატების მთავრობა ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, დარწმუნებულია, რომ ეს პოლიტიკა მშვიდობის ნამდვილი გზაა.

5. შეერთებული შტატების მთავრობა პასუხს არ აგებს იმისათვის, რომ ვერ ხერხდება ეს თანამშრომლობა გავრცელდეს მის ახლანდელ ფარგლებს გარეთ. იგი კვლავ მზად არის გულწრფელობითა და კეთილი ნებით განიხილოს ყოველი პრაქტიკული და კონკრეტული წინადადება, რომლის მიზანია შენელდეს დაძაბულობა და აღმოიფხვრას არსებული გათიშვა.

6. გერმანიის საზავო ხელშეკრულება შეიძლება შემუშავდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იარსებებს სრულიად გერმანიის მთავრობა, რომელიც შეიქმნება თავისუფალი არჩევნების შედეგად და რომელსაც საშუალება ექნება სავსებით თავისუფლად მიიღოს მონაწილეობა ასეთი ხელშეკრულების განხილვაში. ამიტომ ამჟამად შეუძლებელია მოლაპარაკების წარმოება გერმანიის საზავო ხელშეკრულების დებულებათა შესახებ. შეერთებული შტატების მთავრობამ უკვე განაცხადა, თუ რა შეხედულებანი აქვს მას საბჭოთა მთავრობის ზოგიერთი წინადადების გამო, განსაკუთრებით პოტსდამის ოქმის ტერიტორიულ დადგენილებათა მცდარი განმარტების გამო და საბჭოთა მთავრობის იმ განზრახვის გამო, რომ გერმანია ჩაყენებული იქნას დასავლეთ ევროპისაგან მუდმივი იზოლაციის მდგომარეობაში და ამავე დროს გერმანიას დაეკისროს უზრუნველყოს თავისი თავდაცვა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ეროვნული შეიარაღებული ძალების საშუალებებით. საბჭოთა წინადადებანი იმის მომასწავებელი იქნება, რომ სამუდამოდ შეიბოჭოს გერმანიის უფლებები — შევიდეს საერთაშორისო გაერთიანებებში. ეს წინადადებანი მუდმივი დაძაბულობისა და ურწმენობის ვითარებას გამოიწვევდნენ ევროპის ცენტრში.

7. სრულიად გერმანიის მთავრობა, რომელიც თავისუფალი არჩევნების შედეგად შეიქმნება, თვითონ უნდა იყოს თავისუფალი. საჭიროა, რომ ასეთი თავისუფლება მას ჰქონდეს როგორც საზავო ხელშეკრულების მომზადებამდე, ისე ამ ხელშეკრულების მომზადების შემდეგაც მოლაპარაკების დროს. მას უნდა შეეძლოს შეინარჩუნოს თავისი ნამდვილად წარმომადგენლობითი ხასიათი, იკისროს მოვალეობანი როგორც გაერთიანებული გერმანიის მთავრობამ და თავისი სრული როლი შეასრულოს საზავო ხელშეკრულების განხილვაში. ამიტომ თავისუფლების ეს საკითხი განუყოფელია არჩევნების პრობლემისაგან. საბჭოთა მთავრობას ჯერ კიდევ არ უცნობებია თავისი შეხედულებანი ამის თაობაზე. შეერთებული შტატების მთავრობამ განსაკუთრებით უნდა იკითხოს, მიაჩნია საბჭოთა მთავრობას, რომ თავისუფალი არჩევნების შედეგად შექმნილი სრულიად გერმანიის მთავრობა ოთხი სახელმწიფოს კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს საზავო ხელშეკრულების დადებამდე თუ საბჭოთა მთავრობა თანახმაა, რომ სრულიად გერმანიის მთავრობას უნდა ჰქონდეს მოქმედების საჭირო თავისუფლება და მთავრობის დამახასიათებელი რწმუნებანი.

8. შეერთებული შტატების მთავრობა ბედნიერია აღნიშნოს, რომ საბჭოთა მთავრობა ახლა პრინციპულად თანახმაა, რომ თავისუფალი არჩევნები უნდა მოხდეს მთელ გერმანიაში, მაგრამ ასეთი თავისუფალი არჩევნები შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდეს, თუ გერმანიის ყველა ნაწილში იქნება საჭირო პირობები და თუ ეს პირობები დაცული იქნება არა მარტო კენჭისყრის დღეს და კენჭისყრამდე, არამედ შემდეგშიც. ამიტომ აუცილებელი პირველი ნაბიჯის მიზანი უნდა იყოს ასეთი პირობების უზრუნველყოფა. სხვანაირად არ შეიძლება მიღწეულ იქნას რაიმე პროგრესი. ამ უკანასკნელ წლებში გერმანიის აღმოსავლეთი ნაწილი ვითარდებოდა ისეთი მიმართულებით, რომელიც სულ უფრო სცილდება გერმანიის განვითარების ძირითად გზას. ეს იმის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, თუ რატომ არის საჭირო მიუკერძოებელი გამოკვლევა, სანამ არჩევნები მოხდებოდეს.

9. მაგრამ საბჭოთა მთავრობა თანახმა არ არის, რომ გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ შექმნილმა საერთაშორისო კომისიამ მთელ გერმანიაში მოახდინოს ასეთი გამოკვლევა. საბჭოთა მთავრობა ამ უარს საფუძვლად უდებს გაერთიანებული ერების წესდების 107 მუხლის საკუთარ განმარტებას. მაგრამ ამ მუხლში ნათქვამია:

„ეს წესდება სრულიადაც არ უკარგავს იურიდიულ ძალას იმ მოქმედებას, რომელსაც ამ მოქმედებისათვის პასუხისმგებელი მთავრობები მეორე მსოფლიო ომის შედეგად განახორციელებენ ან დაადასტურებენ რომელიმე სახელმწიფოს მიმართ, რომელიც მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში ამ წესდების ხელმომწერი რომელიმე სახელმწიფოს მტერი იყო, აგრეთვე არ აბრკოლებს ასეთ მოქმედებას“.

ეს სიტყვები სრულიადაც არ უშლის ხელს გაერთიანებულ ერებს განიხილონ გერმანიის საქმეთა ეს ასპექტები. ამ განმარტებას გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ მხარი დაუჭირა დიდი უმეტესობით. მაგრამ ის მცდარი განმარტებაც რომ მივიღოთ, რასაც საბჭოთა მთავრობა წესდებას აძლევს, ამ შემთხვევაშიც ოთხ სახელმწიფოს არაფერი არ უშლის ხელს გამოიყენონ გაერთიანებული ერების კომისია იმ პირობების გამოსარკვევად, რომლებშიც უნდა მოხდეს ნამდვილად თავისუფალი არჩევნები მთელ გერმანიაში.

10. ნაცვლად ამისა, საბჭოთა მთავრობა აყენებს დებულებას, რომ პასუხისმგებლობა გამოკვლევის მოხდენისათვის შეიძლება დაეკისროს ოთხი მოკუპირებელი სახელმწიფოს მიერ შექმნილ კომისიას. სანამ შეერთებული შტატების მთავრობას შესაძლებლობა ექნება დარწმუნდეს, რომ ეს წინადადება უზრუნველყოფს მიუკერძოებელ გამოკვლევას, მან უნდა იცოდეს, როგორი იქნება ასეთი ორგანოს შემადგენლობა და ფუნქციები. კომისია, შემდგარი მხოლოდ და მხოლოდ ისეთი წევრებისაგან, რომლებსაც პირდაპირი პასუხისმგებლობა აკისრიათ გერმანიაში, ერთსა და იმავე დროს მსაჯულიც იქნება და დაინტერესებული მხარეც. იმ პერიოდის გამოცდილება, რომლის განმავლობაშიც ოთხი სახელმწიფო ახორციელებდა ერთობლივ კონტროლს გერმანიისადმი, იმას მოწმობს, რომ კომისია ვერ მიიღებს სასარგებლო გადაწყვეტილებას. ამრიგად, ეს გამოიწვევს არჩევნების მნიშვნელოვან გადადებას. შეერთებული შტატების მთავრობა გვერდს ვერ აუვლის იმ ფაქტს, რომ ოთხი სახელმწიფოს კომისიის დანიშვნა შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც გერმანიისადმი ოთხი სახელმწიფოს კონტროლის აღდგენისაკენ გადადგმული ნაბიჯი. ეს იქნებოდა უკან გადადგმული ნაბიჯი, რომელიც ფედერალურ რესპუბლიკაში მომხდარ კონსტიტუციურ ცვლილებათა შესაბამისი არ იქნებოდა.

11. ამ მიზეზით შეერთებული შტატების მთავრობა უპირატესობას აძლევს გაერთიანებული ერების კომისიას: ეს კომისია უკვე არსებობს, მისი ფუნქციები განსაზღვრულია და შეუძლია მოქმედება დაიწყოს დაუყოვნებლივ. მიუხედავად ამისა, შეერთებული შტატების მთავრობა მზად არის შეისწავლოს ყოველგვარი შესაძლებლობა იმის გამოსარკვევად, არსებობს თუ არა თავისუფლების პირობები მთელი გერმანიის ტერიტორიაზე ნამდვილი თავისუფალი არჩევნების მოსაწყობად. შეერთებული შტატების მთავრობას შეერთებული სამეფოსა და საფრანგეთის მთავრობებთან თანხმობით და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობასთან და ბერლინში გერმანელ ხელისუფლებთან კონსულტაციის შემდეგ შესაბამისად შემოაქვს შემდეგი წინადადებანი:

(I) მიუკერძოებელმა კომისიამ დაუყოვნებლივ უნდა გამოარკვიოს, არსებობს თუ არა გერმანიის საბჭოთა ზონაში, აგრეთვე გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში და ბერლინის ყველა სექტორში პირობები, რომლებიც საჭიროა თავისუფალი არჩევნების მოსაწყობად და, თუ არ არსებობს, ოთხ სახელმწიფოს, რომლებსაც პასუხისმგებლობა აკისრიათ გერმანიაში, განსახილველად უნდა ურჩიოს ისეთი ნაბიჯები, რომლებიც გადადგმულ უნდა იქნას ასეთი პირობების შესაქმნელად. ოთხმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საჭირო პირობები ასეთი კომისიის მიერ გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში, საბჭოთა ზონასა და ბერლინის ყველა სექტორში გამოკვლევის მოსახდენად. დასავლეთის სამმა სახელმწიფომ და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობამ უკვე განაცხადეს, რომ მზად არიან გააკეთონ ეს.

(II) ოთხმა სახელმწიფომ ამ მიზნისათვის უნდა გამოიყენოს გაერთიანებული ერების კომისია, რომელიც უკვე არსებობს. ეს, ალბათ, მოქმედების ყველაზე სწრაფი და ყველაზე პრაქტიკული საშუალება იქნება.

(III) მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატების მთავრობა გარკვეული ამჯობინებს ზემოთ (II) პუნქტში ჩამოყალიბებულ პროცედურას, იგი მზად არის განიხილოს ყოველგვარი სხვა პრაქტიკული და კონკრეტული წინადადება გამოკვლევის მიუკერძოებელი კომისიის შესახებ, რომელი წინადადების გაკეთებასაც საბჭოთა მთავრობა მოისურვებს ერთი პირობით, რომ ეს წინადადება ხელს შეუწყობს მთელ გერმანიაში თავისუფალი არჩევნების რაც შეიძლება მალე მოწყობას.

(IV) როგორც კი ასეთი მიუკერძოებელი კომისიის მოხსენება მომზადებულ იქნება, შეერთებული სამეფოს, შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა წარმომადგენლები ერთმანეთს შეხვდებიან, რათა განიხილონ იგი იმ მიზნით, რომ მიაღწიონ შეთანხმებას:

ა) მთელ გერმანიაში თავისუფალი არჩევნების რაც შეიძლება მალე მოწყობაზე და იქ, სადაც საჭირო იქნება, სათანადო პირობების შექმნაზე; და

ბ) იმ დაპირებაზე, რომელიც ოთხმა სახელმწიფომ უნდა მისცეს ერთმანეთს იმის შესახებ, რომ ამ თავისუფალი არჩევნების შედეგად შექმნილ სრულიად გერმანიის მთავრობას ექნება მოქმედების საჭირო თავისუფლება საზავო ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე პერიოდის განმავლობაში“.

საბჭოთა მთავრობის 1952 წლის 24 მაისის ნოტა

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ამა წლის 13 მაისის ნოტასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი:

1. **გერმანიის საკითხის გადაჭრის გადაუდებლობისა და ამ საკითხზე დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ ნოტებით მიმოწერის გაჭიანურების შესახებ.** ამა წლის 10 მარტის ნოტით საბჭოთა მთავრობამ წინადადება მისცა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს ერთობლივად განეხილათ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისა და სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის საკითხი. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადების გასაადვილებლად და დასაჩქარებლად საბჭოთა მთავრობამ წარმოადგინა ამ ხელშეკრულების თავისი პროექტი და ამასთან ერთად განაცხადა, რომ მზად არის განიხილოს სხვა შესაძლო წინადადებებიც ამ საკითხზე. საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნდა და მიაჩნია დაუყოვნებლივ გადაიჭრას ეს საკითხი, ხელმძღვანელობს რა ევროპაში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებით და იმით, რომ საჭიროა დაკმაყოფილდეს გერმანელი ხალხის კანონიერი ეროვნული მოთხოვნები.

რამდენადაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის 25 მარტის საპასუხო ნოტაში წამოყენებული იყო, სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის საკითხთან დაკავშირებით, წინადადება გერმანიაში საყოველთაო არჩევნების მოწყობის პირობების გამოკვლევის შესახებ, საბჭოთა მთავრობა 9 აპრილის ნოტაში დათანხმდა ასეთ წინადადებაზე, მაგრამ მტკიცედ მოითხოვა, რომ აღნიშნული გამოკვლევა მოახდინოს არა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიამ, რომლის კომპეტენციაში არ შედის გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მოწესრიგების საკითხები, არამედ იმ ოთხი სახელმწიფოს მიუკერძებელმა კომისიამ, რომლებიც გერმანიაში ოკუპაციის ფუნქციებს ასრულებენ. ამასთან ერთად, საბჭოთა მთავრობამ ხელმეორედ მისცა წინადადება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, ისე როგორც დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს, აღარ გადადონ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების, აგრეთვე გერმანიის გაერთიანებისა და სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის საკითხის განხილვა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მთავრობამ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წინადადება გერმანიაში თავისუფალი საყოველთაო არჩევნების მოწყობის პირობების არსებობის შემოწმების შესახებ და რომ საბჭოთა მთავრობის წინადადება ოთხ სახელმწიფოს შორის შეთანხმებით ასეთი შემოწმების მოსახდენად კომისიის დანიშვნის შესახებ უზრუნველყოფს აღნიშნული კომისიის ობიექტურობასა და მიუკერძებლობას, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისა და გერმანიის გაერთიანების საკითხის გადაწყვეტა, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის 13 მაისის ნოტა მოწმობს, კვლავ გაურკვეველი დროისათვის გადაიკვეთ. აღნიშნული ნოტიდან ჩანს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იმაზეც ამბობს უარს, რომ ოთხი სახელმწიფო, ბოლოს, დაუყოვნებლივ შეუდგეს ამ საკითხების განხილვას.

ნაცვლად ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ თავის 13 მაისის ნოტაში წამოაყენა მთელი რიგი ახალი წინასწარი პირობები, რომლებიც 25 მარტის ნოტაში არ წამოუყენებია და რომელთა შესახებ ახლა წინადადებას იძლევა შეთანხმდეთ ნოტებით მიმოწერის გაგრძელების გზით, სანამ უშუალო მოლაპარაკებას დავიწყებდეთ. მაგალითად, 13 მაისის ნოტით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა წინადადებას იძლევა — უშუალო მოლაპარაკების დაწყებამდე შეკავშირდეთ „მოლაპარაკების ფარგლების შესახებ და ძირითადი განსახილველი პრობლემის შესახებ“, აგრეთვე განვაგრძოთ ნოტებით მიმოწერა გერმანიაში თავისუფალი არჩევნების პირობების შემმოწმებელი კომისიის შემადგენლობისა და ფუნქციების შესახებ და სხვ.

ყველა ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა კვლავ აჭიანურებს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას და გერმანიის გაერთიანებისა და სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის საკითხის გადაჭრას. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ 13 მაისის ნოტაში კვლავ წამოაყენა მთელი რიგი საკითხები ნოტებით მიმოწერის განსაგრძობად, რაც უამისოდაც რამდენიმე თვეს გაჭიანურდა, ნაცვლად იმისა, რომ ოთხი სახელმწიფო შეუდგეს უშუალო მოლაპარაკებას და დაიწყოს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისა და ამასთან დაკავშირებული ყველა საკითხის ერთობლივი განხილვა.

ასეთ მდგომარეობაში როგორც გერმანიაში, ისე მის საზღვრებს გარეთ, არ შეიძლება არ განმტკიცდეს აზრი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ნამდვილად არ ესწრაფვის იმას, რომ გერმანიასთან დაიდოს საზავო ხელშეკრულება და რომ ბოლო მოეღოს გერმანიის გათიშვას. საზავო ხელშეკრულების დაუდებლად და გერმანიის გაუერთიანებლად კი არ შეიძლება აღდგენილ იქნას დამოუკიდებელი და სრულუფლებიანი გერმანიის სახელმწიფო, რომელიც გამოხატავს მთელი გერმანელი ხალხის ნამდვილ ნებას.

2. **დასავლეთ გერმანიასთან დასავლეთის სახელმწიფოთა სეპარატული შეთანხმებებისა და მათი ცდების შესახებ — გვერდი აუარონ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას.** საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმას, რომ ნოტებით მიმოწერის ერთდროულად, რაც კვლავ გრძელდება, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებთან ერთად სეპარატულ მოლაპარაკებას აწარმოებს დასავლეთ გერმანიის ბონის მთავრობასთან ეგრეთწოდებული „საერთო“ ხელშეკრულების დადების შესახებ. ნამდვილად კი ეს არავითარი „საერთო“ ხელშეკრულება არ არის, არამედ სეპარატული ხელშეკრულებაა, რომელსაც ხალხის მოსატყუებლად ყალბად უწოდეს „საერთო“. ამრიგად, უხეშად ირღვევა პოტსდამის შეთანხმება, რომლითაც ოთხ სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და სსრ კავშირს დაკისრებული აქვს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადება.

მიუხედავად იმ მოლაპარაკების საიდუმლო ხასიათისა, რომელსაც ბონის მთავრობასთან ეწევიან და მიუხედავად იმისა, რომ ამ სეპარატული შეთანხმების სრული ტექსტი დღემდე არ გამოქვეყნებულა, ამ სეპარატული ხელშეკრულების შინაარსი უკვე ცნობილი გახდა პრესაში დაბეჭდილი ცნობებიდან. ამ ცნობებიდან ჩანს, რომ დასავლეთ გერმანიასთან ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა მიერ მომზადებული აღნიშნული სეპარატული ხელშეკრულების მიზანი სრულიადაც არ არის დასავლეთ გერმანიისათვის დამოუკიდებლობისა და თავისთავადობის მინიჭება. საოკუპაციო სტატუტის ფორმალურ გაუქმებასთან ერთად ეს ხელშეკრულება ინარჩუნებს ფაქტიური სამხედრო ოკუპაციის რეჟიმს და ეკისრებს დასავლეთ გერმანიას ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის, აგრეთვე დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მიმართ დამოკიდებულ და დამორჩილებულ მდგომარეობაში.

ამასთან, დასავლეთ გერმანიასთან ამ სეპარატული ხელშეკრულების დადების გზით ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები ლეგალურს ხდიან გერმანიის არმიის აღდგენას ჰიტლერული გენერლების მეთაურობით და, მაშასადამე, გზას უხსნიან დასავლეთ გერმანიის აგრესიული მილიტარიზმის აღდგენას. საქმით ეს ხელშეკრულება წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის აშკარა სამხედრო კავშირს დასავლეთ გერმანიის მთავრობასთან, რის დახმარებითაც ბონის მთავრობა გერმანელ ხალხს ითრევს ახალი ომის მომზადებაში.

ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები ცდილობენ შეიყვანონ დასავლეთი გერმანია მათ მიერ „ევროპის სახელმწიფოთა თავდაცვითი თანასაზოგადოების“ სახელწოდებით შექმნილ სახელმწიფოთა — საფრანგეთის, დასავლეთ გერმანიის, იტალიის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის დაჯგუფებაში. ეს თვითმარქვია „ევროპის თანასაზოგადოება“ უნდა გახდეს ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის შემადგენელი ნაწილი და უნდა შექმნას ეგრეთწოდებული „ევროპის არმია“, სადაც უნდა შევიდნენ ახლა დასავლეთ გერმანიაში აღდგენის პროცესში მყოფი გერმანელთა შეიარაღებული ძალები. სავსებით ცხადია, რომ „ევროპის თანასაზოგადოებისა“ და „ევროპის არმიის“ შექმნის მიზანი არა მარტო ის არის, რომ ლეგალური გახადოს დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია, როგორც ეს ფაქტიურად უკვე ხორციელდება, არამედ ისიც, რომ დასავლეთი გერმანია შეიყვანოს აგრესიულ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში.

ყველასათვის ცნობილია, რომ სწორედ უკანასკნელ დროს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ცდილობს ყოველი ღონისძიებით დაჩქაროს დასავლეთ გერმანიასთან როგორც აღნიშნული სეპარატული ხელშეკრულების დადება, ისე დასავლეთ გერმანიის შეყვანა „ევროპის თანასაზოგადოებაში“. ამით ცდილობენ არა მარტო საბოლოოდ მოსწყვიტონ, არამედ დაუპირდაპირონ გერმანიის ერთი ნაწილი გერმანიის მეორე ნაწილს. ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა დაინტერესებულია არა გერმანიის გაერთიანებით. არა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებით, არამედ იმით, რომ ახალ სეპარატულ შეთანხმებათა გზით უფრო მტკიცედ, ვიდრე დღემდე, დაუკავშიროს დასავლეთი გერმანია და დასავლეთ გერმანიის აღდგენის პროცესში მყოფი არმია სახელმწიფოთა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკს, რაც შეუთავსებელია ევროპაში მშვიდობიანი განვითარების პერსპექტივებთან.

ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ ამჟამად ხდება შეთანხმება დასავლეთ გერმანიის რევანშისტული მმართველ წრეებსა და სახელმწიფოთა ჩრდილო ატლანტიკის დაჯგუფებას შორის. ეს შეთანხმება შეიძლება დამყარებულ იქნას მხოლოდ იმაზე, რომ მხარი დაუჭირონ ბონის ადენაუერის მთავრობის რევანშისტულ მისწრაფებებს, რომელიც ევროპაში ამზადებს ახალ ომს. მხოლოდ გერმანელი რევანშისტების აგრესიულ მიზნებს შეიძლება გაუწიოს სამსახური დასავლეთ გერმანიის არმიამ, რომელსაც ახლა აღადგენენ ფაშისტი ჰიტლერელი გენერლების მეთაურობით. მეორე მხრივ, დასავლეთ გერმანიის ასეთი არმიის შეყვანა ეგრეთწოდებულ „ევროპის არმიაში“, და, მაშასადამე, ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის არმიაშიც უფრო ხაზგასმით აღნიშნავს მთელი ჩრდილოეთ ატლანტიკის დაჯგუფების აგრესიულ ხასიათს.

ამ ფაქტების მიხედვით არავინ დაიჯერებს იმას, რომ „ევროპის თანასაზოგადოება“ და „ევროპის არმია“, რომელთა შექმნასაც ახლა ამზადებენ, შეიძლება წარმოადგენდეს „მშვიდობის გზას“, როგორც ნათქვამია ამერიკის 13 მაისის ნოტაში. ადენაუერის მთავრობასთან ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის აღნიშნული შეთანხმების ნამდვილი აზრი შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფოთა ჩრდილოეთ ატლანტიკის იმ დაჯგუფების აგრესიული ხასიათის შემდგომი გაძლიერება, რომელიც ამჟამად ისწრაფვის პირდაპირ შეუერთდეს გერმანელ რევანშისტებს, რომლებიც ევროპაში ყველაზე აგრესიულ წრეებს წარმოადგენენ.

დასავლეთ გერმანიის ბონის მთავრობასთან უკვე აღნიშნული სეპარატული ხელშეკრულების თუ „ევროპის თანასაზოგადოების“ შესახებ შეთანხმების მსგავს შეთანხმებათა დადება გერმანიის ამ ნაწილს აკისრებს ახალ ვალდებულებებს, აძლიერებს მის დამოკიდებულებას მოკუპირებელ სახელმწიფოებზე და უქმნის ახალ დაბრკოლებებს გაერთიანებას გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილთან, რომელიც შებოჭილი არ არის ასეთი ვალდებულებებით და ვითარდება ისეთ პირობებში, რომლებიც ხელს უწყობენ გერმანიის ეროვნულ გაერთიანებას ერთიან, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოდ. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მისწრაფება — რაც შეიძლება მალე დადოს დასავლეთ გერმანიასთან ზემოთ აღნიშნული სეპარატული შეთანხმებანი, მაშინ, როცა მოლაპარაკება საზავო ხელშეკრულებისა და გერმანიის გაერთიანების შესახებ კვლავ და კვლავ გადადებულია, იმას ნიშნავს, რომ არის განზრახვა აღნიშნულ სეპარატულ შეთანხმებათა გზით გერმანელი ხალხი დააყენონ მომხდარი ფაქტების წინაშე: გერმანელი ხალხი დაყენებულ იქნება დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის ფაქტის წინაშე და დასავლეთ გერმანიაში საოკუპაციო ჯარების დატოვების ფაქტის წინაშე, ხოლო საზავო ხელშეკრულების დადებისა და გერმანიის გაერთიანების გზაზე აღმართულ იქნება ამჟამად გადაულახველი დაბრკოლებანი.

მაგრამ არ შეიძლება ერთი მხრივ აცხადებდე, რომ აღიარებ საზავო ხელშეკრულების დადებისა და გერმანიის გაერთიანების აუცილებლობას, ხოლო მეორე მხრივ ყველაფერს სჩადიოდე იმისათვის, რომ გაძნელო და ხელი შეუშალო გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას და გერმანიის ერთიანი სახელმწიფოს აღდგენას. ეს იწვევს ყოველგვარი ნდობის შერყევას ასეთ სახელმწიფოთა ორპირული პოლიტიკისადმი და გერმანელ ხალხს იძულებულს ხდის ეძებოს საზავო ხელშეკრულებისა და გერმანიის ეროვნული გაერთიანების თავისი გზები.

3. **საბჭოთა მთავრობის წინადადება.** მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხში, აგრეთვე გერმანიის გაერთიანებისა და სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის საკითხში, საბჭოთა მთავრობა კვლავ აძლევს წინადადებას ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, აგრეთვე დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს დაწყებულ იქნას ამ საკითხთა ერთობლივი განხილვა და არ იქნას დაშებული შემდგომი გაჭიანურება ამ საქმეში.

ნოტებით შემდგომი მიმოწერის წესით

საბჭოთა მთავრობის ნოტები

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ

(დასასრული)

იმაზე, რომ საქმის ასეთი გაჭიანურება ეწინააღმდეგება გერმანიასა და მეზობელ სახელმწიფოებს შორის ნორმალური და მტკიცე ურთიერთობის დამყარების ინტერესებს, აგრეთვე საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს.

საბჭოთა მთავრობა ამასთან ხელმძღვანელობს იმ დებულებით, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შემუშავებისას როგორც სსრ კავშირის მთავრობა, ისე ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები იხელმძღვანელებენ პოტსდამის შეთანხმების დადგენილებებით, კერძოდ გერმანიის საზღვრების საკითხში, როგორც ამას უკვე აღნიშნავდა საბჭოთა მთავრობა 9 აპრილის ნოტაში.

რაც შეეხება სრულიად გერმანიის მთავრობასა და მის უფლებამოსილებას, ცხადია, ეს მთავრობაც უნდა ხელმძღვანელობდეს პოტსდამის დადგენილებებით, ხოლო საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ—საზავო ხელშეკრულების დადგენილებებით, რომელიც უნდა ემსახურებოდეს ევროპაში მტკიცე მშვიდობის დამყარებას. ამასთან, საბჭოთა მთავრობა კვლავ თვლის გერმანელი ხალხის განუყოფელ უფლებად — იყოლიოს სახელმწიფოს დასაცავად საჭირო თავისი ეროვნული შეიარაღებული ძალები, ურომლისოდაც არ შეიძლება სამართლიანად და ჯეროვნად გადაწყდეს სრულიად გერმანიის მთავრობის უფლებამოსილების საკითხი.

წინადადებას იძლევა რა დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნას უშუალო მოლაპარაკება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისა და სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის შესახებ, საბჭოთა მთავრობა ხელმძღვანელობს აგრეთვე იმით, რომ გერმანიის ამა თუ იმ ნაწილის ვერავითარი სეპარატული შეთანხმება სხვა სახელმწიფოთა მთავრობებთან ვერ დააკისრებს რაიმე ვალდებულებას სრულიად გერმანიის მთავრობას და რომ სრულიად გერმანიის მთავრობა, რომელიც ხელს მოაწერს საზავო ხელშეკრულებას, აღჭურვილი იქნება ყველა უფლებით, რომლებითაც აღჭურვილი არიან სხვა დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოების მთავრობები.

ანალოგიური ნოტები სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაუგზავნა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საელჩოებს.

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის ნოტაზე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ

გერმანია

ბერლინი, 25 მაისი. (საკდესი). adn-ის სააგენტომ დღეს გადასცა საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტა სსრ კავშირის მთავრობისადმი დასავლეთის სახელმწიფოთა 1952 წლის 13 მაისის ნოტებზე.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა რადიოსადგურმა გადასცა დღეს სრული ტექსტი სსრ კავშირის მთავრობის ნოტისა დასავლეთის სახელმწიფოებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ.

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 25 მაისი. (საკდესი). დღეს სლოამოს ჩეხოსლოვაკიის რადიომ გადასცა ტექსტი საბჭოთა მთავრობის ნოტისა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ. საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ეს ახალი დოკუმენტი ჩეხოსლოვაკიის ხალხმა მიიღო, როგორც დოკუმენტი, რომელიც სავსებით გამოხატავს ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანთა აზრს, რომელნიც ესწრაფვიან გერმანიის საკითხის წარმატებით გადაწყვეტას და ერთიანი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე, დამოუკიდებელი გერმანიის სახელმწიფოს შექმნას.

რუმინეთი

ბუქარესტი, 25 მაისი. (საკდესი). რუმინეთის დეპეშათა სააგენტომ გავრცელა საბჭოთა კავშირის ნოტის ტექსტი. ბუქარესტის რადიომ დღეს ორჯერ გადასცა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების და სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის საკითხზე საბჭოთა მთავრობის 24 მაისის ნოტის სრული ტექსტი.

რუმინეთის დედაქალაქის საზოგადოებრიობას ეს დოკუმენტი მიაჩნია კიდევ ერთ დიდ მნიშვნელოვან წვლილად გერმანიის საკითხის მოწესრიგების საქმეში და საბჭოთა კავშირის თანმიმდევრული მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის დადასტურებად, წინააღმდეგ აგრესიისა და გაჯიბნერების პოლიტიკისა, რასაც ახორციელებენ დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობები, რომლებიც დასავლეთ გერმანიასთან სეპარატულ ხელშეკრულებას ამზადებენ.

საფრანგეთი

პარიზი, 25 მაისი. (საკდესი). გაზეთი „სუარ-დიმანში“ დიდი სათაურით „სსრ კავშირი პირდაპირი და დაუყოვნებლივ მოლაპარაკებას მოითხოვს გერმანიის საკითხზე“ პირველ გვერდზე ბეჭდავს ცნობას გერმანიის საზავო ხელშეკრულების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი საბჭოთა ნოტის თაობაზე.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ ახალი საბჭოთა ნოტა დასავლეთის სამი სახელმწიფოს მთავრობებს გაეგზავნა ბონში „სამხედრო ხელშეკრულების ხელმოწერის წინადღეს, ხელშეკრულებისა, რომელიც ოფიციალურად განამტკიცებს ახალი ვერმახტის შექმნას, გერმანიის ორ ნაწილად გაყოფას, ატლანტიკის კოალიციაში დასავლეთ გერმანიის შეყვანას და პანეი-შუმანის მთავრობის კავშირს გერმანელ მილიტარისტებთან, რომლებიც ტანჯავდნენ და აწამებდნენ ოკუპირებულ საფრანგეთს“.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საფრანგეთისათვის საბჭოთა ნოტაში მოყვანილ კონკრეტულ წინადადებებს, რომელთა მიზანია შეიქმნას ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის სახელმწიფო.

„სუარ-დიმანში“ ბეჭდავს იმ წინადადების ტექსტს, რომელიც საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა 1952 წლის 24 მაისის ნოტაში.

პარიზი, 25 მაისი. (საკდესი). ფრანსპრესის სააგენტო გადმოგვცემს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი საბჭოთა მთავრობის უკანასკნელი ნოტის შინაარსს.

ინგლისი

ლონდონი, 25 მაისი. (საკდესი). რეიტერის სააგენტომ გაავრცელა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებისადმი საბჭოთა მთავრობის ნოტის შინაარსი. ლონდონის რადიომ რამდენჯერმე გადასცა ცნობა საბჭოთა მთავრობის ახალი ნოტის შესახებ. ლონდონის რადიო ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა ნოტის იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ სეპარატული ხელშეკრულება, რომელსაც ახლა ბონში განიხილავენ, წარმოადგენს პოტსდამის შეთანხმების დარღვევას, რომ მისი მიზანია არა დამოუკიდებლობის მინიჭება დასავლეთ გერმანიისათვის, არამედ ის, რომ გაგრძელდეს სამხედრო ოკუპაცია და დარჩეს დასავლეთი გერმანია დასავლეთის სამ სახელმწიფოზე დამოკიდებული, რომ ეს სეპარატული ხელშეკრულება აკანონებს გერმანიის არმიის აღდგენას, რომელსაც ჰიტლერელი გენერლები მეთაურობენ და ამრიგად გზას უხსნის დასავლეთ გერმანიის აგრესიული მილიტარიზმის აღდგენას.

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 25 მაისი. (საკდესი). როგორც ნიუ-იორკის რადიო იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროები სწავლობენ საბჭოთა მთავრობის ახალ ნოტას გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს ჯერ ოფიციალურად არ გაუკეთებია კომენტარი საბჭოთა მთავრობის ნოტისათვის.

სამხედრო „საერთო ხელშეკრულების“ წინააღმდეგ

გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების ცენტრალური გამგეობის სამდივნოს მიმართვა დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების ყველა წევრისადმი

ბერლინი. 23 მაისი. (საკდესი). როგორც adn-ის სააგენტო გადმოგვცემს, გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების ცენტრალური გამგეობის სამდივნომ მიმართა დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების ყველა წევრს მოწოდებით — გააძლიერონ ბრძოლა წინააღმდეგ ანტიხალხური კანონისა „საწარმოებში საკითხების გადაწყვეტის წესის შესახებ“ და ბრძოლა სამხედრო „საერთო ხელშეკრულების“ წინააღმდეგ.

მიმართვაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ საშიშ მდგომარეობასთან დაკავშირებით დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა 6 მილიონ წევრს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება. „მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების“ დაწერილებითი ცნობები, რომლებიც აშკარა გახდა, — ნათქვამია მიმართვაში, — და ეროვნული ღალატის ამ სამარცხვინო ხელშეკრულების განზრახული ხელმოწერა უნდა გახდეს სიგნალი ყველა მუშისა, მოსაქმისუფლისა და მოხელისათვის, პროფკავშირის ყველა წევრისა და საწარმოო საბჭოს წევრისათვის — გაიერთიანონ საწარმოებში საკითხთა გადაწყვეტის წესის კანონის წინააღმდეგ ბრძოლა მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების“ წინააღმდეგ ბრძოლასთან, ოდენაუერის დამბობისათვის ბრძოლასთან!“

პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრებისათვის

ამ დღეებში შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრებისა და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხი. მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ჯიბლაძემ.

— ისევე, როგორც მთელს საქართველოს კომპარტიაში, — თქვა მომხსენებელმა, — თბილისის პარტიულ ორგანიზაციაშიც კომუნისტების პოლიტიკური განათლების საქმეს სერიოზული ზიანი მიაყენა მუშაობის იმ მანკიერმა სტილმა, რომელიც საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის საქალაქო კომიტეტის ძველ ხელმძღვანელობას ახასიათებდა.

მიმდინარე სასწავლო წელს დედაქალაქში პარტიული განათლების ყველა ფორმაში ჩაბმულია 51.511 კაცი, მათ შორის 37.411 კომუნისტი, 7.000 კომკავშირელი და 7.100 უპარტიო. პარტიული განათლების მთელ სისტემას მომსახურებას უწევს 1.412 პროპაგანდისტი და 1.702 კონსულტანტი, რომელთა დიდ უმრავლესობას წარმატებით შეუძლია გაართვას თავი დაკისრებულ პასუხსაგებ მოვალეობას, თუ მათ ბოლშევიკურ, ყოველდღიურ ხელმძღვანელობასა და დახმარებას გავუწევთ. სამწუხაროდ, პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რაიკომები და პირველ რიგში კი თბილისის კომიტეტი, მისი პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება და საქალაქო პარტკაბინეტი ყოველდღიურ ოპერატიულ მეთოდურ დახმარებასა და ხელმძღვანელობას ვერ ვუწევდით პროპაგანდისტებსა და კონსულტანტებს, რის შედეგადაც მთელ რიგ პოლიტსკოლებსა და წრეებში მეცადინეობა დაბალ თეორიულ დონეზე ეწყობა, დამოუკიდებელ სწავლებაში არის ფორმალიზმი.

ცეკავშირის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ამხ. ა. მელაძე) ფორმალურად მიუდგა კომუნისტთა დამოუკიდებელ სწავლებას. აქ 57 კომუნისტს, მართალია, შედგენილი აქვს ინდივიდუალური მუშაობის გეგმები, მაგრამ ისინი არარეალურია. სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის, საბურთალოს აგურის ქარხნის და ზოგიერთ სხვა პარტიულ ორგანიზაციაში, კომუნისტებს, მართლაც დამოუკიდებლად მომუშავედ ითვლებიან, სასწავლო წლის დაწყებიდან ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებული არცერთი ნაშრომი არ შეუსწავლიათ.

პარტიული განათლების ქსელის მუშაობაში სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ წრეებისა და პოლიტსკოლების მეცადინეობაზე არადამაკმაყოფილებელია მსმენელთა დასწრება. პოლიტსკოლებისა და წრეების მეცადინეობას არ ესწრება მსმენელთა 60 პროცენტზე მეტი. ამ მხრივ ძალიან ცუდი მდგომარეობაა ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის“, მოლოტოვის რაიონის საბინაო სამმართველოს, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის და ქალაქის მთელ რიგ სხვა ორგანიზაციასთან არსებულ წრეებსა და პოლიტსკოლებში. მეცადინეობის გაცდენის შემთხვევები არ ხდება კომუნისტების მსჯელობის საგანი, დაუსჯელი რჩებიან მეცადინეობის ჩაშლაში დამნაშავენი.

პარტიული განათლების სისტემაში არსებული ნაკლოვანებანი პირველ რიგში იმით არის გამოწვეული, რომ პარტიული ორგანიზაციები უდარდელად ეკიდებიან კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საქმეს. კომუნისტთა პარტიული განათლების საქმე ძალიან ცუდად არის დაყენებული ბეჭდვითი სიტყვის კომბინატსა და „საქწიგნის“ პარტიულ ორგანიზაციებში. ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის პარტიული ორგანიზაციის მდივანს იმათი სიაც კი არა აქვს, რომლებიც პარტიულ სწავლებაში არიან ჩაბმულნი, მას არც დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების ინდივიდუალური სამუშაო გეგმები აღმოაჩნდა. გასული წლის 11 დეკემბრის შემდეგ პარტიულ ორგანიზაციას ერთხელაც არ განუხილავს პარტიული განათლების საკითხი. პარტიული ორგანიზაციების დიდ უმრავლესობას მთელი სასწავლო წლის მანძილზე პარტიული განათლების საკითხები განხილული აქვს ერთხელ ან უკეთეს შემთხვევაში ორჯერ, ამასთან ამ საკითხზე მიღებული დადგენილებები ზოგადია და არსებითად არავითარი შედეგი არ მოაქვს.

ამხ. ჯიბლაძე იხებს ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლების საკითხს და ამბობს, რომ მთელ რიგ კომკავშირულ ორგანიზაციებში სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლება, რაც კომკავშირისადმი პარტიული ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობითა და დახმარებით არის გამოწვეული.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს ლექციური პროპაგანდის ნაკლოვანებებზე. ლექციების საკმაო ნაწილი ენობრივად გაუმართავია, სავსეა შეცდომებით, ცალკეული დებულებები მთელ რიგ შემთხვევებში არაზუსტი და დამაბინდვებულია.

— პრესა, — ამბობს ამხ. ჯიბლაძე,— მოწოდებულია ქმედითი დახმარება გაუწიოს პროპაგანდის გაუმჯობესების საქმეს. რესპუბლიკური გაზეთები დღემდე ნაკლებ დახმარებას უწევენ პარტიული განათლების ქსელს. იშვიათად ათავსებენ წერილებს პარტიული განათლების ნაკლოვანებებზე, გაზეთების ფურცლებზე მოთავსებული თეორიული სტატიები და კონსულტაციები უმთავრესად თარიღებისადმია მიძღვნილი.

თბილისის კომიტეტის დიდი ნაკლია, რომ კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. ეს ხელს უშლის თბილისის ორგანიზაციაში კომუნისტთა პარტიული განათლების საქმის და საერთოდ ლექციური პროპაგანდის გაძლიერებას.

საქალაქო პარტკაბინეტში საბჭოთა ეკონომიკის საკითხებზე ლექციების ციკლი არადამაკმაყოფილებლად ეწყობა. ლექციებს ძალიან მცირე რაოდენობით ესწრებიან ამხანაგები. არადამაკმაყოფილებელია კონსულტანტთა სემინარის მეცადინეობაზე დასწრებაც.

შეიძლებოდა ზოგიერთი ნაკლის თავიდან აცილება, საქალაქო პარტკაბინეტის გამგე ამხ. ვ. სიგუა ძალიან გადატვირთული რომ არ იყოს შეთავსებით.

მართალია, პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტება მიმდინარე სასწავლო წელს შედარებით უკეთესად მოეწყო, ვიდრე წინა წლებში, მაგრამ მაინც ბევრი იყო სკოლებისა და წრეების ხელაღები, უგეგმოდ, უსისტემოდ დაკომპლექტების ფაქტები. ბევრმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტებას ხელი მოჰკიდა არა სასწავლო წლის დამთავრებისთანავე, არამედ მხოლოდ სასწავლო წლის დაწყების წინ, რის გამო იყო წრეებსა და სკოლებში კომუნისტთა შეუსწავლელად ჩარიცხვის შემთხვევები, რაც აბრკოლებს ნორმალურ მეცადინეობას.

მოხსენების გამო გამართულ კამათში პირველი გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი ამხ. ქ. კაპანაძე.

— პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამ უკანასკნელად გამართულ კრებებზე, — თქვა მან, — კომუნისტებმა ბოლშევიკური პირდაპირობით ამხილეს პარტიის რაიკომის მუშაობის ნაკლოვანებანი. რაიკომის მუშაკები არსებითად არ სწავლობდნენ მათს მუშაობას და კონკრეტულად არ ეხმარებოდნენ პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მოწყობაში. კერძოდ პარტიული განათლების მდგომარეობას მხოლოდ მაშინ ვსწავლობდით, როცა საკითხს რაიკომის ბიუროს სხდომის, პლენუმის ან პარტიული აქტივის კრებისათვის ვამზადებდით.

თუ რა უპასუხისმგებლობას იჩენდნენ ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელები პარტიული სწავლების საქმეში, ეს ჩანს საქენერგოს პარტიული ორგანიზაციის მდივნის ამხ. გაგნიძის მაგალითიდან. საქენერგოს პარტორგანიზაციასთან შექმნილია დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელი წრე. საქენერგო იმავე შენობაშია, სადაც პარტიის რაიკომი. რადგან პროპაგანდისტი მივლინებაში გაგზავნეს, წრეში მეცადინეობა 2 თვეს ჩაშლილი იყო. პარტბიუროს მდივანი ამხ. გაგნიძე ნაცვლად იმისა, რომ მესამე სართულიდან მეორეზე ჩამოსულიყო და რაიკომში მოეგვარებინა პროპაგანდისტის შეცვლის საკითხი, თვენახევარს მოუნდა რაიკომის მისამართით ამ საკითხზე მიმართვის ტექსტის შედგენას. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ მიმართვას რაიკომამდე არც კი მოუღწევია.

რაისაბჭოს აღმასკომის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შემსწავლელ მაღალი ტიპის წრეში თვეების მანძილზე ჩაშლილი იყო მეცადინეობა პროპაგანდისტის სხვა რაიონში გადაყვანის გამო. პარტიის რაიკომმა ვერ მოახერხა ამ წრისათვის პროპაგანდისტის შერჩევა.

ძალიან სუსტად არის დაყენებული წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიულ ორგანიზაციაში კომუნისტებისა და უპარტიო პროფესორ-მასწავლებლების მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლა თვითდინებაზე იყო მინდობილი. ეს მდგომარეობა პარტიის რაიკომისათვის ცნობილი გახდა მხოლოდ მიმდინარე წლის მარტის ბოლო რიცხვებში. გამორკვა, რომ კონსულტანტებს მარტამდე მუშაობაც კი არ ჰქონდათ დაწყებული. ამ პერიოდისათვის კონსულტანტთა უმრავლესობამ არც კი იცოდა, ვისთვის უნდა გაეწიათ კონსულტაცია.

სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს პარტიული განათლების დარგში აქვთ, იმითაც აიხსნება, რომ პატიის თბილისის საქალაქო კომიტეტი და პირველ რიგში მისი პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება სათანადოდ არ ეხმარება რაიკომს მუშაობაში.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ნინოშვილმა აღნიშნა, რომ ქარხანაში ჯერ კიდევ ვხედებით პარტიული სწავლების მნიშვნელობის შეუფასებლობას. ქარხნის პარტიული კომიტეტი და საამქროთა პარტიული ორგანიზაციები სათანადოდ არ ეხმარებიან პროპაგანდისტებსა და კონსულტანტებს, კარგად არც კი იციან, რა მდგომარეობაა ცალკე წრეებსა და პოლიტსკოლებში, როგორ მეცადინეობენ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავენი.

პარტიული განათლების საქმისადმი პარტიული ორგანიზაციის არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობით უნდა ავხსნათ, რომ მთელ რიგ წრეებსა და პოლიტსკოლებში მეცადინეობას მსმენელთა მხოლოდ 60 პროცენტი ესწრებოდა. იყო მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევებიც. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი საამქროს პარტიული ორგანიზაციები და ქარხნის პარტიული კომიტეტი საჭირო ზომებს არ იღებდნენ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, შექმნილ მდგომარეობას კომუნისტების მსჯელობის საგნად არ ხდიდნენ.

ნაკლოვანებანი, რაც პარტიული სწავლების საქმეში გვაქვს, იმითაც უნდა ავხსნათ, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობა მუშაობაში სათანადოთ არ გვეხმარებოდა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტის და ცენტრალური კომიტეტის რომელიმე მუშაკი მოსულიყო ჩვენს ქარხნაში და დაინტერესებულიყო პარტიული განათლების საკითხით, ესაუბრნა პროპაგანდისტებთან, წრის მსმენელებთან, ლექცია ან მოხსენება წაეკითხა. ამხ. ნინოშვილმა პლენუმს გააცნო, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებენ ქარხნის პარტიული ორგანიზაციები იმისათვის, რომ გამოასწორონ დაშვებული შეცდომები, ორგანიზებულად დაამთავრონ სასწავლო წელი და მომზადებული შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მუშაობის მანკიერი სტილი, — თქვა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. ლუარსაბოვმა, — პარტიული განათლების საქმეშიც ქმნიდა პარადულ განწყობილებას და ნაკლოვანებებისადმი არაკრიტიკულ დამოკიდებულებას. ჩვენი რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა მიმდინარე სასწავლო წლისათვის მზადების პროცესში სერიოზული შეცდომები დაუშვეს. ამ შეცდომებმა მთელი სიმწვავით იჩინა თავი უკანასკნელ პერიოდში, როცა დეტალურად იქნა შემოწმებული პარტიული განათლების ქსელის მუშაობა. წრეებისა და პოლიტსკოლების რიცხობრივი ზრდის გამოდევნების შედეგად დაკომპლექტებისას სათანადოდ ვერ გავითვალისწინეთ ცალკეულ მსმენელთა მომზადების დონე და სურვილი. იმის გამო, რომ წრეებისა და პოლიტსკოლების ხელმძღვანელად თავიდანვე გულდასმით ვერ შევარჩიეთ პროპაგანდისტულ მუშაობაში გამოცდილი ამხანაგები, იძულებული გავხდით სასწავლო წლის პროცესში ბევრი პროპაგანდისტი შეგვეცვალა.

ამხ. ლუარსაბოვმა გააკრიტიკა პარტიის თბილისის კომიტეტი, რომელმაც ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ გარდაქმნა მუშაობა თბილისის საქალაქო და საოლქო პარტიული კონფერენციების დადგენილებათა საფუძველზე.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის დირექტორმა ამხ. ა. მესტვირიშვილმა ილაპარაკა იმ ნაკლოვანებათა შესახებ, რომლებიც უნივერსიტეტს აქვს თავის მუშაობაში. ჩვენი მიღწევები, — განაცხადა ამხ. მესტვირიშვილმა, — გაცილებით უფრო დიდი იქნებოდა, პარტიის თბილისის კომიტეტი საჭირო დახმარებას რომ გვიწევდეს. მართალია, თბილისის კომიტეტის ბიურომ განიხილა უნივერსიტეტის მუშაობის საკითხი, მაგრამ საკითხის მხოლოდ განხილვა და ღონისძიების დასახვა საქმეს არ შველის. ჩვენ დღემდე ვერ შეგვძლია აღმოგვეფხვრა მსმენელთა მიერ მეცადინეობის უმიზეზოდ გაცდენა. პარტიის რაიკომები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები სათანადო ზომებს არ იღებენ იმ ამხანაგების მიმართ, რომლებიც მეცადინეობას აცდენენ ან სრულიად არ მეცადინეობენ.

უნივერსიტეტის მუშაობაში სხვა ნაკლიც არის. სათანადო ყურადღება არ ექცევა სასემინარო თემების დროზე ჩათვლას. არის შემთხვევები, როცა ლექტორები და მასწავლებლები მეცადინეობას აცდენენ. უნივერსიტეტს მუშაობაში დიდად უშლის ხელს ისიც, რომ მისი ოთხი ფილიალი გაფანტულია, სხვადასხვა ადგილზეა მოთავსებული. ამას ემატება ისიც, რომ საკმაო რაოდენობით არა გვაქვს აუდიტორიები. ეს საკითხები თბილისის კომიტეტის წინაშე არაერთხელ იყო დაყენებული, მაგრამ მათი მოგვარებისათვის არავინ ზრუნავს.

პლენუმი ვერ დააკმაყოფილა კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტის გამგის ამხ. ვ. სიგუას გამოსვლამ. მან არაფერი თქვა იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ, რომლებიც საქალაქო პარტკაბინეტს და პირადად მის მუშაობას ახასიათებს. ამხ. სიგუას გამოსვლამ ცხადყო, რომ ის პატივს არ სცემს კრიტიკას, ერიდება ნაკლოვანებათა მხილებას, პირად მომენტებს საერთო საქმეზე მაღლა აყენებს.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. ი. ნონეშვილი (საქართველოს მწერალთა კავშირის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი), ამხ. ბერუჩაშვილი (ტრამვაისა და ტროლეიბუსის სამმართველოს პარტბიუროს მდივანი), ამხ. ნ. ცხაკაია (ციროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგე) და სხვ. სულ 10 კაცი.

პლენუმმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრების და ახალი სასწავლო წლისათვის სათანადოდ მომზადების უზრუნველსაყოფად.

ოდენგვწერენული სულრის ბანოებიდან

ვანის რაიონის ცენტრიდან 12 კილომეტრზე, მდინარე სულორის ვიწრო ხეობაში არის გოგირდოვანი სამკურნალო წყალი „სულორის აბანოები“.

სულორის აბანოებს კარგად იცნობენ ქუთაისის ოლქის მშრომელები.

სულორის აბანოები რთულ კომბინირებულ სამკურნალო წყლებს ეკუთვნის. მაშინ, როცა წყალტუბოს ყველაზე თბილი № 1 აბაზანის ბუნებრივი ტემპერატურა 34,8 გრადუსს შეადგენს სულორის აბანოს თბილი აბაზანის ბუნებრივი ტემპერატურა 36 გრადუსია, ხოლო ეგრეთწოდებული „ცივი აბანოს“ № 2 აბაზანისა — 34,5 გრადუსი.

რადიუმის ემანაციით სულორის აბანოები გაცილებით მდიდარია, ვიდრე წყალტუბო. თუ წყალტუბოს № 3 აბაზანა, რომელიც ყველაზე მდიდარია რადიუმის ემანაციით, პეხეს მეთოდით შეიცავს 10 ერთეულს, სულორის აბაზანები ამ მეთოდით შეიცავს 40 ერთეულს.

ამით უნდა აიხსნას სულორის აბანოებით მკურნალობის დიდი ეფექტი. ცოტა მაგალითი როდია, როცა წყალტუბოში უშედეგოდ ნამკურნალევი ავადმყოფები სრულიად განკურნებული ბრუნდებიან სულორის კურორტიდან.

სულორის აბანოები განსაკუთრებულ ეფექტს იძლევა გულისა და სისხლის ძარღვების (კომპენსაციის ფაზაში), სახსრების ქრონიკული და ქვეშწვავე დაავადებისას (არატუბერკულოზური ეთიოლოგია), პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებისას, ნევრასტენიისას, ნივთიერებათა ცვლის პროცესების დარღვევისას (პოდაგრა, პათოლოგიური სიმსუქნე), ქალთა სასქესო ორგანოების დაავადებისას და ქრონიკული მშრალი ეგზემისას.

1 მაისიდან გაიხსნა მიმდინარე წლის სეზონი. სულორის კურორტისაკენ მოემშურებიან მშრომელები ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან. საჭიროა კულტურულად მოვემზადოთ მათ, შევქმნათ ნორმალური მკურნალობისა და დასვენების ყველა პირობა.

ექიმი **შ. თოდუა**

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„საგზაფხულო სამუშაოებს არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 8 მაისის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი ყაჩრეთის რაიონიდან. საქართველოს კ. პ. (ბ) ყაჩრეთის რაიკომმა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობისადმი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის კრიტიკა სწორად ცნო.

რაიკომის ბიურომ სოფელ არაშენდის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ნ. ხარაზიშვილს ხორბლის ნათესების მარგვლისა და სასუქებით გამოკვების საქმეში უპასუხისმგებლობისათვის საყვედური გამოუცხადა სააღრიცხვო ბარათში შეტანით. სოფელ ჩაილურის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ნ. ჭიკაძეს აგროტექნიკურ ღონისძიებათა დარღვევისათვის საყვედური გამოეცხადა, ხოლო სოფელ კაკაბეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ოქრომჭედლიშვილს, სოფელ ჯიმითის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს დარჩიაშვილს და სოფელ კაკაბეთის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ხუნაშვილს საგზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ჩამორჩენისათვის გაფრთხილება მიეცათ.

აგროტექნიკურ ღონისძიებათა სუსტად განხორციელების, კანცელარიულ-ბიუროკრატიული მუშაობისა და კოლმეურნეობებისადმი ზერელე ხელმძღვანელობისათვის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგეს ამხ. გაგოშიძეს და განყოფილების მთავარ აგრონომს ამხ. ზარდიაშვილს გამოეცხადათ საყვედური, ხოლო ყაჩრეთისა და ბადიაურის მტსების დირექტორებს ამხ. ფხალაძეს და ამხ. ზარდიაშვილს საგზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად ზომების მიუღებლობისათვის და ტრაქტორების სისტემატურად გაცდენისათვის გაფრთხილება მიეცათ.

ყაჩრეთის მტს-ის დირექტორს დაევალა მკაცრად დასაჯოს სტატისტიკოსი ე. სტურუა ჯეჯ

ჩიბეჯის მშვიდობიანი განთავისუფლების წლისთავი

პეკინი, 25 მაისი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტო იუწყება, 23 მაისს პეკინში გაიმართა სხდომა, რომელსაც დაესწრნენ სახელმწიფო დაწესებულებათა 400-ზე მეტი პასუხისმგებელი მუშაკი, ტიბეტელი ხალხის რელიგიური ლიდერები და წარმომადგენლები. ამ კრებაზე სიტყვა წარმოთქვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერის მოადგილემ დუნ ბი-უმ, რომელიც მიესალმა ტიბეტის მშვიდობიანი განთავისუფლების პირველ წლისთავს, როგორც იმპერიალისტური ტირანიისაგან ტიბეტელი ხალხის განთავისუფლების ისტორიულ თარიღს.

ჩინეთის ცენტრალური სახალხო მთავრობა და სახალხო-განმათავისუფლებელი არმია, განაცხადა დუნ ბი-უმ, ეფექტიან ღონისძიებებს ახორციელებენ, რათა უზრუნველყონ წარმოების, ვაჭრობის, მიმოსვლის, კავშირგაბმულობისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარება ტიბეტში. ცენტრალური სახალხო მთავრობა და ტიბეტში გაგზავნილი ადმინისტრაციული მუშაკები და სამხედრო მოსამსახურენი განუხრელად იცავენ ადგილობრივი მოსახლეობის რელიგიურ რწმენასა და ჩვეულებებს.

ამის მეოხებით, განაგრძო დუნ ბი-უმ, ტიბეტის მოსახლეობა გამსჭვალულია მხურვალე სიყვარულით თავმჯდომარე მაო ძე-დუნისა და ცენტრალური სახალხო მთავრობისადმი. ამავე დროს დალაი-ლამისა და პანჩენ-ლამის გაერთიანების შემდეგ განუხრელად მტკიცდება ტიბეტელი ხალხის ერთიანობა.

იმპერიალისტებს, აღნიშნა შემდეგ დუნ ბი-უმ, არა სურთ, რომ ტიბეტელები თავისუფალნი და ბედნიერნი იყვნენ. ისინი შეუნელებლად ცდილობენ ძირი გამოუთხარონ ჩინეთის სხვადასხვა ეროვნების ურთიერთსოლიდარობას, თუმცა ტიბეტში შეჭრის მათი გეგმები არაერთხელ ჩაფუშულა. ამიტომ მთელმა ტიბეტელმა ხალხმა და ყველა თანამდებობის პირმა და მეომრებმა, რომლებიც გაგზავნილი არიან ტიბეტში, უნდა გამოიჩინონ დიდი სიფხიზლე იმპერიალისტების მიერ წარმოებული ძირგამომთხრელი საქმიანობისადმი და განაგრძონ თავიანთი ღონისძიებანი ტიბეტის მშენებლობისათვის.

სხდომაზე გამოვიდნენ ცენტრალურ სავაჭრო და სამეცნიერო დაწესებულებათა, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის ცენტრალურ დაწესებულებათა პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებმაც პირობა დადეს მუდმივი დახმარება გაუწიონ ტიბეტის მშენებლობას. შემდეგ გამოვიდნენ ცინხაი სიას პროვინციის ბუდისტების მეთაური ჟი-ძანი და პანჩენ-ლამის პეკინის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ლოვანგი, რომლებმაც მადლობა გადუხადეს ცენტრალურ სახალხო მთავრობას ტიბეტის განთავისუფლებისათვის და ტიბეტელთა სახელით პირობა დადეს, რომ დაიცავენ ჭეშმარიტ ერთიანობას ჩინეთის სხვა ეროვნებებთან ახალი ტიბეტისა და დიდი სამშობლოს აშენების მიზნით.

მშვიდობის დაცვის კანადის კონგრესის ცნობა

ოტავა, 25 მაისი. (საკდესი). მშვიდობის დაცვის კანადის კონგრესმა გამოაქვეყნა ცნობა, რომ კონგრესის თავმჯდომარემ ენდიკოტმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოითხოვს, რომ ნიუ-იორკში შეუშვან კანადის გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა დელეგაცია, რომლებიც წარდგენებას გაუკეთებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიას, რამდენადაც კანადის საზოგადოებრივობამ არ იცის, თუ როგორ მიმდინარეობს კომისიის მუშაობა, რადგან ამ მუშაობის შესახებ არაფერს ამბობენ.

წერილში კანადის საგარეო საქმეთა მინისტრის პირსონისა და პარლამენტის ფრაქციათა ლიდერებისადმი მშვიდობის დაცვის კანადის კონგრესი მოითხოვს, რომ პარლამენტში გააკეთონ მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს კანადის წარმომადგენლის მუშაობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში.

კონგრესი აგრეთვე იუწყება, რომ ენდიკოტმა პირსონს გაუგზავნა წერილი, რომელშიც კვლავ მესამედ მოითხოვს ნება დართონ მას პირადად გააკეთოს თემთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიაში მოხსენება იმის შესახებ, რომ ამერიკელები ბაქტერიოლოგიურ იარაღს იყენებენ კორეასა და ჩინეთში.

ენდიკოტი მოითხოვს, რომ კანადის მთავრობამ გააკეთოს განცხადება ჟენევის 1925 წლის კონვენციის შესრულების შესახებ და განმარტოს — აკეთებს თუ არა იგი რამეს, რათა სხვა ქვეყნების მთავრობებმა, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ხელი მოაწერონ და დაამტკიცონ ეს კონვენცია.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 24 მაისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავარსარდლობის 24 მაისის ცნობაში ნათქვამია:

კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით განვლილ დღეს ყველა ფრონტზე განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ და წარმატებით ოგერიებდნენ მის იერიშებს.

დასავლეთ ფრონტზე დინხინდონის რაიონში მოწინააღმდეგემ რამდენჯერმე მოიტანა იერიში ჩვენი პოზიციების წინააღმდეგ, მაგრამ, წაწყდა რა ჩვენი ჯარების ცეცხლს, იძულებული გახდა უკან დაეხია.

სხვა ფრონტებზე განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა.

აღმოსავლეთ სანაპიროსთან სახალხო არმიის ნაწილებმა ჩაძირეს სამი და დიდად დაუზიანეს მტრის ერთი გემი, რომლებიც შემოიჭრნენ ჩონჯინის წყლებში და ცეცხლს უშენდნენ მშვიდობიან მოსახლეობას.

დღეს ჩვენმა საზენიტო ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავთა გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის შვიდი და დააზიანეს 4 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ზურგის მშვიდობიანი დასახლებული რაიონების მხეცურ დაბომბვაში.

ფხენიანი, 25 მაისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაცხადა, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან თანამოქმედებით ყველა ფრონტზე განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს წინანდელ ზღუდეებზე.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 4 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობდნენ დასახლებული რაიონების დაბომბვაში.

ამერიკის ავიაცია ბარბაროსულად ესხმის თავს კორეის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს

ფხენიანი, 24 მაისი. (საკდესი). 20 მაისიდან ამერიკის ავიაციამ დაიწყო ინტენსიური თავდასხმები ჩრდილოეთ კორეის ქალაქებსა, სოფლებსა და გლეხთა მინდვრებზე და გაძლიერებით უშენს ტყვიასა და ბომბს. ამერიკის თვითმფრინავები განსაკუთრებით ხშირად ესხმიან თავს ფხენიანს, სარიონს, იონიუს, ანჯუს, ჩონჯუს, ჩხარენვანს, სუკჩხონს, ია̆ნდოკის, ვონსანის, ნამფხოსა და სხვა ქალაქების რაიონებს.

22 მაისს ამერიკის რეაქტიული ავიათამანადგურებლები და ბომბდამშენები დღეღამის განმავლობაში განუწყვეტლივ უშენდნენ ტყვიას და ბომბავდნენ ფხენიანსა და მის მიდამოებს. ამ დღეს, ფხენიანისა და მისი მიდამოების გარდა, განსაკუთრებით გააფთრებით დაბომბეს და ტყვია დაუშინეს სარივონის, ვონსანის, ჩონჯუს, ანჯუს, იანდოკის, სუკჩხონისა და ჩხარენვანის რაიონებს.

ბარბაროსული საჰაერო თავდასხმის შედეგად არიან მოკლულნი და დაჭრილნი, უმთავრესად ქალები და ბავშვები.

ყურადღებას იპყრობს გლეხთა მინდვრების გაძლიერებული დაბომბვა და ცეცხლის დაშენა, რაც, როგორც კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტოს 18 მაისის ცნობიდან ჩანს, ხდება იმ მიზნით, რომ ჩაშალონ საგაზაფხულო თესვის კამპანია კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში და დააშინონ მინდვრად მომუშავე გლეხები. მოსახლეობა აღშფოთებითა და გულისწყრომით ლაპარაკობს ჰაერის ამერიკელ ბუკაბრეთა მოქმედებაზე, რომლებიც ცდილობენ ავიაბალური თავდასხმებით გატეხონ მებრძოლი კორეელი ხალხის მამაცობა.

ამერიკელ იმპერიალისტთა ხრიკები ახლო და შუა აღმოსავლეთში

პარიზი, 23 აპრილი. (საკდესი). ამერიკელმა იმპერიალისტებმა სცადეს შეეკოწიწებინათ ახალი სამხედრო ბლოკი, რომელიც მოიცავს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს, აგრეთვე ხმელთაშუა ზღვის აუზის ზოგიერთი სახელმწიფოს.

ამასთან დაკავშირებით უცხოეთის პრესა უკვე დღეებს აქცევს არაბთა ქვეყნებში სპერანდოთის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის აღმსრულებლისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ვენიზელოსის გაგზავრებას. ამ გაგზავრებას, როგორც ცნობილია, წინ უსწრებდა საბერძნეთ-თურქეთის სამხედრო მოლაპარაკება.

ვენიზელოსის გაგზავრება მოხდა იმ მომენტში, როცა თურქეთში მოგზაურობს აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ეკრონის სამხრეთ ზონაში, ამერიკელი ადმირალი კერნი, რომელიც ინსპექციას უწევს თურქეთის სამხედრო ობიექტებს. ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, კერნიმ განაცხადა, რომ მისი გამგზავრების მიზანია თურქეთისა და საბერძნეთის სამხედრო თანამშრომლობის დამყარება.

21 მაისს თეირანს ჩავიდა ახლო აღმოსავლეთში ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი ადმირალი ჰიუზი. იგი შეხვდა ირანის გენერალური შტაბის უფროსს და სამხედრო მინისტრის მოადგილეს. როგორც ირანული პრესა იუწყება, ჰიუზი შეხვდება აგრეთვე ირანის შაჰს და თეირანში განიხილავს უმთავრესად შუა აღმოსავლეთის „დაცვის“ შექმნის გეგმებს.

ამავე დროს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთ აზიისა და აფრიკის საქმეებში ბაიროუდი.

ლიბანური გაზეთი „ალ-ბაირაკი“ იმოწმებს არაბული საინფორმაციო სააგენტოს ცნობას და აღნიშნავს, რომ არაბთა ქვეყნებში ვენიზელოსის გამგზავრება უშუალოდ დაკავშირებულია ხმელთაშუა ზღვის ბლოკის შექმნის გეგმებთან. „პოლიტიკურად, — აღნიშნავს გაზეთი, — მოლაპარაკება შეეხება იმ შეთანხმების დადების საკითხს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ხმელთაშუა ზღვის სახელმწიფოები“.

„აშ-შარკი“ ამასთან დაკავშირებით წერს: „როგორც ცნობილი გახდა, ვიზიტის მიზანია ხმელთაშუა ზღვის კავშირის პროექტის შესწავლა. ეს საქმე დაწყებულ იქნა არაბთა ქვეყნებში ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ არტახოს გამგზავრების ჟროს“.

ეგვიპტურმა გაზეთმა „ალ-მისრიმ“ 19 მაისს გამოაცხადა, რომ ყველა მოხსენება, რომელიც არაბთა ქვეყნების დედაქალაქებიდან და „შუა აღმოსავლეთის სარდლობის“ შექმნის ინიციატორ სახელმწიფოთა დედაქალაქებიდან მოდის, მოწმობს, რომ საიდუმლოდ ცდილობენ ეს „სარდლობა“ შექმნან იმ ქვეყნების მონაწილეობით, რომლებიც პროექტს იწონებენ“.

ლიბანური გაზეთი „ას-სარხა“ ხაზგასმით აღნიშნავს ვენიზელოსის ვიზიტისა და არტახოსა და ბაიროუდის ვიზიტების კავშირს და წერს, რომ ყველა ამ ვიზიტის „მიზანი ის არის, რომ ჩვენი ქვეყანა გადაქცეონ სამხედრო აგრესიის პლაცდარმად ხმელთაშუა ზღვის პაქტის პროექტის განხორციელებით“. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ „ეს პაქტი აგრესიულია და იქმნება ამერიკის სამხედრო გეგმების შესაბამისად“. ამიტომ, — აღნიშნავს გაზეთი, — „ლიბანელი ხალხი ვენიზელოსის ვიზიტს განიხილავს, როგორც აგრესიული პროექტებისა და ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის პროექტების ნაწილს, რომლებიც მიმართულია მთელ მსოფლიოში მშვიდობის წინააღმდეგ, განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ და რომლებიც ეწინააღმდეგებიან ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ეროვნულ მისწრაფებას. ლიბანელი ხალხი აცხადებს მტკიცე სურვილს — იბრძოლოს ყველა ამ აგრესიული პროექტის წინააღმდეგ“.

კუნძულ კოჯედოზე გაიგზავნა ჯარების ახალი კონტინგენტი

ნიუ-იოკი, 25 მაისი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი სეულიდან იუწყება, ამერიკის მე-8 არმიის შტაბის მაღალი თანამდებობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კუნძულ კოჯედოზე იგზავნება კანადის ჯარები და კორეაში მოქმედი ინგლისის ჯარების გარკვეული რაოდენობა. ერთ ბატალიონამდე ჯარისკაცი შეუერთდება ამერიკის 187-ე ავიასადესანტო პოლკს, რომელიც წარსულ კვირაში გაიგზავნა კოჯედოზე.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ განაჩენი გამოუტანა ამერიკელ დივერსანტებსა და ჯაშუშებს

ბერლინი, 24 მაისი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ განაჩენი გამოიტანა დივერსანტებისა და ჯაშუშების ბანდის საქმეზე, რომელიც ტერორისტულ და ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდა ბერლინის დემოკრატიულ სექტორსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში „არაადამიანურობის წინააღმდეგ ბრძოლის ჯგუფის“ დავალებით. ეს ჯგუფი მოქმედებს დასავლეთ ბერლინში ამერიკის დაზვერვის „სი-ია-სის“ ხელმძღვანელობით.

მოწმეთა ჩვენებამ სასამართლოში საეჭვოთ დაადასტურა ბრალდებულთათვის წაყენებული ბრალდება, ისინი ბერლინის დემოკრატიული სექტორისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამზადებდნენ და ახორციელებდნენ ტერორისტულ და დივერსიულ აქტებს და აწარმოებდნენ ძირგამომთხრელ საქმიანობას ანტიფაშისტურ-დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგ. მოწმეთა ჩვენებამ უდავოდ გამოამჟღავნა, რომ დასავლეთ ბერლინის „არადამიანურობის წინააღმდეგ ბრძოლის ჯგუფის“ საქმიანობას წარმართავს, კონტროლს უწევს და აფინანსებს ამერიკის დაზვერვა გერმანიაში.

პროკურორის საბოლოო სიტყვისა და დამცველთა გამოსვლების შემდეგ სასამართლომ უკანასკნელი სიტყვა მისცა ბრალდებულებს. ყველა ბრალდებულმა აღიარა სასამართლოს მიერ მათთვის წაყენებული ბრალდებანი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ დივერსანტებისა და ჯაშუშების ბანდის მეთაურს იოჰან ბუროიანეკს მიუსაჯა სიკვდილი, ბრალდებულებს ეძლევ მებისსა და ფრიც ჰეშელს — სამუდამო პატიმრობა, დანარჩენ ოთხ ბრალდებულს — სხვადასხვა ვადის პატიმრობა 10-დან 15 წლამდე.

საფრანგეთის მშრომელები პროგესს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ გენერალი რიჯუეი პარიზს ჩავიდეს

პარიზი, 24 მაისი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის სენის დეპარტამენტის ფედერაციის მოწოდებით გუშინ პარიზსა და მის გარეუბნებში გაიმართა ხალხმრავალი საპროტესტო დემონსტრაციები იმის წინააღმდეგ, რომ საფრანგეთში უნდა ჩამოვიდეს ეიზენჰაუერის შემცვლელი ამერიკელი გენერალი რიჯუეი.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დემონსტრაციების მოწყობა აკრძალა სენის დეპარტამენტის პრეფექტმა, ათასობით მშრომელი გამოვიდა ხალხის ექვსი საათისათვის დედაქალაქის ქუჩებში და მოედნებზე. ყველაზე ხალხმრავალი დემონსტრაციები გაიმართა ლათინური უბნის რაიონში, ოდეონის მოედანზე, ფობურ-დიუ-ტამპლის ქუჩაზე, ბულარ ბიანკურის რაიონში, სენლაზარის ვაგზალთან. დემონსტრაციის მონაწილეებს მოჰქონდათ პლაკატები წარწერით: „რიჯუეი მკვლელია!“, „წადითიოს რიჯუეი!“, „ამერიკელებო, წადითიეთ შინ!“.

გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, რომ ასეთივე მანიფესტაციები გაიმართა პარიზის მუშათა გარეუბნებში. სენტ-უენში დემონსტრაცია, რომელშიც 4 ათასი მშრომელი იღებდა მონაწილეობას, ერთ საათამდე გაგრძელდა. სენ-დენში, ივრში, ანტეიში, შუაზი-ლე-რუასა და სხვა გარეუბნებში პოლიციამ და ეგზეთწოდებულმა „რესპუბლიკის უშიშროების რაზმებმა“ ვერ შეუშალეს ხელი ფრანგ ხალხს გამოეთქვა მრისხანე პროტესტი კორეელი ხალხის ჯალათის პარიზს მომავალი ჩამოსვლის წინააღმდეგ. შეიარაღებულ პოლიციელთა რაზმები ამაოდ ცდილობდნენ გაეფანტათ დემონსტრაციის მონაწილენი, რომელთაგან ბევრი დაუპატიჟრეს. პოლიციელებმა ხელკეტებიც იხმარეს.

გაზეთებში გამოქვეყნებული წინასწარი ცნობებით, დაპატიჟრებულია 260 კაცი. როგორც ფრანს პრესის სააგენტო აღნიშნავს, 200-ზე მეტი პატიმარი გაათავისუფლეს.

რიჯუეის მომავალი ჩამოსვლის წინააღმდეგ საპროტესტო დემონსტრაციები გაიმართა საფრანგეთის მთელ რიგ სხვა ქალაქებშიც.

გაზეთმა „ლუმანიტემ“ დღეს გამოაქვეყნა მშვიდობის საბჭოს სენის დეპარტამენტის ბიუროს მიმართვა, რომელიც პარიზის მოსახლეობას მოუწოდებს 28 მაისს მონაწილეობა მიიღოს საფრანგეთში გენერალ რიჯუეის ჩამოსვლის წინააღმდეგ საპროტესტო მიტინგში.

გაზეთი ათავსებს აგრეთვე მშვიდობის ეროვნული საბჭოს ბიუროს კომუნიკეს, რომელიც მშვიდობისათვის ყველა მებრძოლს მოუწოდებს პროტესტი განაცხადონ საფრანგეთში ამერიკელი გენერლის რიჯუეის ჩამოსვლის წინააღმდეგ.



თბილისის 1952 წლის თახის გათამაშება ფრენბურთში. სურათზე: თამაშის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

თვითმოქმედი წრეები ნაყოფიერად მუშაობენ

ბაგრა. („კომუნისტის“ კორ.). გაგრის რაიონის კულტურის სახლთან ჩამოყალიბებულმა თვითმოქმედმა წრეებმა დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს კერორტ-ქალაქში დასასვენებლად ჩამოსული მშრომელებისათვის მომსახურების გასაწევად.

განსაკუთრებით კარგად მუშაობენ დრამატული წრე და მომღერალთა გუნდი, რომლებიც სისტემატურად აწყობენ გამოსვლებს დამსვენებელთათვის. კერორტზე ჩამოსული დამსვენებლები წრეების მიერ მოწყობილ საღამო-წარმოდგენებსა და კონცერტებს დიდი ხალისით ესწრებიან.

მოხსენებები

29 მაისს მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს განყოფილება იწვევს თავის წევრთა საჯარო სხდომას, რომელიც შედგება სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის აუდიტორიაში.

სხდომაზე მოსმენილ იქნება დოცენტ ლ. გველესიანის მოხსენება კომუნიზმის დიად მშენებლობათა შესახებ. იმავე სხდომაზე მოხსენებას გააკეთებს თურქმენეთის მთავარი არხის ტრასზე გაგზავნილი ექსპედიციის წევრი დოცენტი პ. წულუკიძე. მოხსენების თემაა: „საქართველოს მეცნიერთა მონაწილეობა კომუნიზმის დიად მშენებლობებში“.

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მუშათა პროფესიული კავშირის კომიტეტი ამავე ქარხნის სამმართველოს სხდომათა დარბაზში აწყობს მოხსენებათა სერიას მეტალურგიული მრეწველობის მთელ რიგ საკითხებზე. ამას წინათ გაიმართა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ა. ბაბალოვის მოხსენება — თბილისავი მოწყობილობა ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ცხელ საამქროებში.

10 ივნისს შედგება მეორე მოხსენება — ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ი. შტრომბერგისა: გამომავალი აირების გაწმენდა მეტალურგიულ ქარხნებში.

25 ივნისს იქვე მოხსენებას გააკეთებს ინჟინერი ს. დოსთაქიანი — ჰიგიენა მეტალურგიული ქარხნის ცხელ საამქროებში.

ლექციები

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება 27 მაისს, სალამოს 8 საათზე, ხელოვნების მუშაკთა სახლში (მახარაძის ქ. № 8) აწყობს საზოგადოების ნამდვილი წევრის **ს. შავერდიანის** ლექციას თემაზე: **„ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტების სისხლიანი ბოროტმოქმედებანი საქართველოსა და ამერიკავკასიაში 1918-1920 წ. წ.“** (რუსულ ენაზე).

27 მაისს, ხალამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიონის პარტკაბინეტში (25 თებერვლის ქ. № 2) შედგება ამბ. **ხულიმანის** ლექცია თემაზე: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.**

27 მაისს, ხალამოს 6 ს. 30 წ., საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის პარტკაბინეტში შედგება ამბ. **ი. ტაბალუას** ლექცია თემაზე: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.**

სამეცნიერო კონფერენცია

27 მაისს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართება აკადემიის „ეპირანგუნის“ [illegible] ნაშრომებზე [illegible] სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც იმუშავებს ცალკე სექციების მიხედვით. კონფერენციის მონაწილენი 5 სექციად განაწილდებიან.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა სექცია, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ნ. ბერძენიშვილი, იმუშავებს აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) 27 მაისიდან 30 მაისამდე.

მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების სექცია (ხელმძღვანელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ა. ჯანელიძე) იმუშავებს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის სხდომათა დარბაზში (კეცხოველის ქ. № 10) 27 და 28 მაისს.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სექცია (სექციის ხელმძღვანელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი მ. სამანიშვილი) იმუშავებს სამშენებლო საქმის ინსტიტუტის დარბაზში (ბარათაშვილის ქ. № 10) 27 და 28 მაისს.

ბიოლოგიისა და მედიცინის მეცნიერებათა სექცია (ხელმძღვანელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ნ. ყიფშიძე) იმუშავებს ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის სხდომათა დარბაზში (კეცხოველის ქ. № 10) 29 და 30 მაისს.

ტექნიკის მეცნიერებათა სექცია (ხელმძღვანელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი გ. გედევანიშვილი) იმუშავებს სამშენებლო საქმის ინსტიტუტის დარბაზში (ბარათაშვილის ქ. № 10) 29 და 30 მაისს.

სექციათა სხდომები გაიხსნება დღის 12 საათზე.

მკითხველთა კონფერენციები

აბაშა. (კომ. კორ.). ამას წინათ ადგილობრივმა საბავშვო ბიბლიოთეკამ მოიწვია მკითხველთა კონფერენცია. განხილულ იქნა სტალინური პრემიის ლაურეატის პოეტ იოსებ გრიშაშვილის შემოქმედება. მოხსენებები ამ საკითხზე გააკეთეს აბაშის ქალთა და ვაჟთა საშუალო სკოლების მოსწავლეებმა.

სანამ კონფერენცია შედგებოდა, ბიბლიოთეკის გამგემ თ. კაჭარავამ მოაწყო ი. გრიშაშვილის ნაწარმოებთა გამოფენა.

კონფერენციაზე დამთავრდა ი. გრიშაშვილის რამდენიმე რჩეული ლექსის წაკითხვით.

თელავი. (კომ. კორ.). თელავლის რაიონულ ცენტრში ამას წინათ წარმატებით ჩატარდა რაიონული ბიბლიოთეკის მკითხველთა კონფერენცია. კონფერენციაზე განხილულ იქნა პ. ლორიას რომანი „ნანრა“, რომელსაც მკითხველებმა დამაკმაყოფილებელი შეფასება მისცეს.

კონფერენციის დასასრულს ბიბლიოთეკის მკითხველთაგან შემდგარმა თვითმოქმედმა დრამატულმა წრემ გამართა წარმოდგენა.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — „პრავდის“ 25-V მოწმობით — გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისათვის.

შეჯიბრება ბურღვის მაღალი სისწრაფისათვის. საქალაქო კომიტეტის ბიუროს წარმოების ნოვატორის მეთოდების შესახებ. საქართველოს ნეიტემენტეების სამტაფო ვალდებულებანი. რკინიგზელის დღის შესახებ.

მეორე გვერდი — საბჭოთა მთავრობის ნოტები ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ.

მესამე გვერდი — პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის დამთავრების წინ.

შ. კობახიძე — ლენინი ომის შესახებ (ვ. ი. ლენინის შრომის „ომი და რევოლუცია“ 35 წლისთავის გამო).

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის ნოტაზე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით

28 მაისს

06.25—საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები. 07.30—საბალეტო მუსიკის კონცერტი; 09.20—საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები; 11.10—ქართული მუსიკის კონცერტი; 17.15—ქართული ხალხური სიმღერები; 17.40—გადაცემა მოსწავლეთათვის—ციკლიდან „შესანიშნავ ადამიანთა ცხოვრება“ — კოტე მარჯანიშვილი; 18.15—სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 19.15—კამერული მუსიკის კონცერტი.

რადიოსადგურებით 1.500 და 50,5Ე მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით

20.30—რადიოსადგურებით—გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის; 20.30—კონცერტი; 20.45 — საქართველოს რადიოკომიტეტის გუნდის კონცერტი; 21.00—ლექცია კადრების ეკონომიური თვითგანვითარების დასახმარებლად — „სოციალისტურ საწარმოთა რენტაბელობა სოციალისტური მეურნეობის გაძღოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია“; 21.30—ლიტერატურულ-დრამატული გადაცემა — დიდი ქართველი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი; 23.00—სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 00.05—არიები ოპერებიდან სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების ხელოვნების ოსტატთა შესრულებით.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ევგენი ონეგინი (მე-5 ა.ბ. ა. ივუტრისის მონაწილეობით); რუსთაველის სახელობის — სამშობლო.

საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს მემცენარეობისა და მიწათმოქმედების კათედრის გამგის თანამდებობაზე (პროფესორი ან დოცენტი).

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა დირექტორის სახელზე უნდა წარმოადგინოს განცხადება შემდეგი სახუთებით: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი, სახუთი სამეცნიერო ხარისხისა და წოდების მინიჭების შესახებ, სამეცნიერო ნაშრომების სია, საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება სამუშაოს უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო ნაშრომები და ფოტოსურათი.

მისამართი: უნივერსიტეტის ქ. № 13, ტელეფონი № 3-67-83.

კონკურსის ვადა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

1952 წლის 30 მაისს ქ. ხაბაროვსკში შედგება სახელმწიფო 3% შინაგანი მოგებიანი სესხის მოგებათა 27-ე ტირაჟი. ტირაჟში სესხის თვითეულ თანრიგზე გათამაშდება 4.650.200 მანეთის 8.500 მოგება, მათ შორის **50.000, 25.000, 10.000, 5.000, 1.000 და 400**-მანეთიანი მოგებანი.

ყოველწლიურად იმართება სესხის მოგებათა ექვსი ძირითადი ტირაჟი — 30 იანვარს, 30 მარტს, 30 მაისს, 30 ივლისს, 30 სექტემბერს, 30 ნოემბერს და მოგებათა ერთი დამატებითი ტირაჟი — 30 სექტემბერს.

სესხის ობლიგაციებს თავისუფლად ყიდიან და ყიდულობენ შემნახველი სალაროები.

შეიძინეთ სახელმწიფო 3% შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, „ოქტომბერი“, „ისანი“ (საზამთრო) — ზოგჯერ ბრძენიც შეცდება I და II სერია, (საზაფხულო) ჭაღარა ქალიშვილი; **„სპარტაკი“, კიროვის პარკი, „ამირანი“** (საზამთრო) — დაუვიწყარი 1919 წელი, (საზაფხულო) სიმღერები ქუჩებში; **„კომკავშირელი“** — ღამურა; **„თბილისი“** — ალანყვა უდაბნოში; **„დიდუბე“** — ირწივის დაღუპვა; 26 კომისრის — ვეფხვი აბარი (საზამთრო), ქეთი და კოტე (საზაფხულო); **„კოლხიდა“** — ივნისის ღამეები (საზამთრო), კატოვსკი (საზაფხულო).

მოქალაქე **მარიამ გრიგოლის ასულმა მელაძემ